ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



**სამეგრელოში გოგა წურწუმიამ ძმა, რობერტი, შვილის საფლავზე მოკლა** გვ.5

24 სექტემბრიდან
თენგიზ პაპუაშვილი
საინგილო
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




ორშაბათი, 30 სექტემბერი, 2019 №231 (8185) ფასი: 60 თეთრი

# რატომ შეხვდა ეკა ბესელია გიორგი კვირიკაშვილს





გვ.2

კვირიკაშვილი: „პოლიტიკაში წასვლას გამოვრიცხავ“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი ციხიდანაც იბრძოლებს“

„დავდგეთ ყველა ერთად და დავასრულოთ პუტინის ხელისუფლება საქართველოში“ გვ.2



## გედევან ფოფხაძე: „ოცნებაში“ სხვადასხვა ფრთაა და განწყობაც სხვადასხვაა“ გვ.3



„ბესელიას ჩინჩალაძის გაყვანა ივანიშვილმა დეკემბერში მოსთხოვა“



## პაატა დავითაია: „მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს“ გვ.3

**სუსის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა** გვ.4



**სამართალი** გვ.5



**პროკურორი ნათია ქომოშვილი: „ვარკეთილში 16 წლის მოზარდი ჯგუფურად გაძარცვეს, რის შემდეგაც მან თავი მოიკლა“**

საქმეზე დაკავებულ 5 პირს პატიმრობა შეეფარდა



**სამგორში სამარშრუტო ტაქსი მანქანას დაეჯახა**

1 გოგონა დაშავდა

**„გაუთქმელობას მოვაწერე ხელი და ვერაფერს გეტყვით“**

დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორები პროკურატურამ გამოკითხა

ISSN 1987-9385

4 **ოსები ჟენევაში წნელისის ბლოკ-პოსტზე ილაპარაკებენ**

2 **რუსთავში მასწავლებელი ნანა წიქარიშვილი მე-6 კლასელმა გოგონამ კიბიდან დააგორა**

4 **გიორგი ლალიძე: „ოცნება“ ჩვენს ერს ისევ იმ ძირმომპალი იმპერიისკენ მიათრევს“**

6 **უზბეკეთის უშიშროების ყოფილი შეფი გაასამართლეს**

# გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი ციხიდანაც იბრძოლებს“

## „დავდგეთ ყველა ერთად და დავასრულოთ პუტინის ხელისუფლება საქართველოში“

იაგო ნაცვლიშვილი

20 ივნისის აქციის დარბევისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებული განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი ლევან იმერლიშვილი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მისი ადვოკატის ინფორმაციით, დაკავებულს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუდგინდა და სასამართლომ აღნიშნული გარემოება გაითვალისწინა.

სამაგიეროდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა აქციის მონაწილეთა მხრიდან ერთ-ერთი დაკავებული პირის, ლევან ჯიქურის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

არის თუ არა შერჩევითი სამართლის მორიგი გამოვლინება, რა განწყობაზეა ირაკლი ოქრუაშვილი და როგორ აფასებს უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატების სიას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირაკლი ოქრუაშვილის თანაპარტიელი, გამარჯვებული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი საუბრობს.



***– ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა 20 ივნისის საქმეზე დაკავებული სამართალდამცველი, რომელმაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაითვალისწინა, მაშინ როცა ანალოგიური რამე არ ხდება აქციის მონაწილეების მისამართით. არის თუ არა ეს შერჩევითი სამართლის მორიგი გამოვლინება?***

– მე მგონი, ამას დიდი ანალიზი და შეფასება არ სჭირდება. ეს არის ხელისუფლების ქმედება და დასცინიან ადამიანებს, დაგვცინიან თითოეულ ჩვენგანს და მათ, ვინც ამ საქმეზე პატიმრობაში იმყოფებიან.

ხელისუფლება გვეუბნება, რომ ვისაც უყვარს ეს ქვეყანა, ეს დასჯადია და ისჯება ციხით, ხოლო ადამიანებისთვის თვალების დათხრა არის ღირებულება. აი, ეს განცხადება გააკეთა ხელისუფლებამ ამ საქციელით. ამაზრზენია ხელისუფლების საქციელი. ერთი კაცის ჯიბის პროკურატურა მოქმედებს კანონის გარეშე, უბრძანეს და აკეთებს.

სასამართლოს არ აინტერესებს არანაირი მტკიცებულებები და ისიც გადაწყვეტილებას იღებს ისე, როგორც უკარნახებენ. ყველა დაპატიმრებულის სასამართლო პროცესს ვესწრები, ყველა პროცესი წყლის წვეთივით ჰგავს ერთმანეთს. ერთნაირია მოწმეთა ყველა ჩვენება. ასე გაგრძელება წარმოუდგენელია.

***– რას დაუპირისპირებთ ოპოზიცია ქმედებების თვალსაზრისით ხელისუფლებისა და სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებებს?***

– ჩვენ ვგეგმავთ აქციას და ეს უნდა იყოს ქმედება. ის უნდა იყოს არა მხოლოდ ოპოზიციის ქმედება, არამედ ყველამ უნდა გაითავისოს ეს ყველაფერი. მოსახლეობამაც, ოპოზიციამაც და ყველამ ერთად უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ისე არაფერი გამოვა. ამის გარეშე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება.

ივანიშვილი ამბობს, რომ მას არაფერი აინტერესებს და, რასაც უნდა, როგორც უნდა და როდესაც უნდა, იმას გააკეთებენ, ვისაც უნდათ, იმას დაიჭერენ და ვისაც უნდათ, იმას გაწირავენ. ეს არის ის, რაც ხდება. წარმოუდგენელი რაღაცები ხდება უკვე. სხვა რა კომენტარი გავაკეთო, არც კი ვიცი. ეს ხდება რუსეთში და ეს ხდება

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რატომ შეხვდა ეკა ბესელია გიორგი კვირიკაშვილს

## „ვნახულობ ხოლმე, როგორც მეგობარს“



### კვირიკაშვილი: „პოლიტიკაში წასვლას გამოვრიცხავ“

27 სექტემბერს თბილისის ერთ-ერთ კაფეში დამოუკიდებელი დეპუტატი ეკა ბესელია და ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს.

– გიორგი კვირიკაშვილს ვნახულობ ხოლმე, როგორც მეგობარს, მაგრამ კონკრეტულ პოლიტიკურ თანამშრომლობაზე არაფერი შემიძლია გითხრათ, – ასეთი განცხადება გააკეთა ეკა ბესელიამ.

მან თქვა, რომ კვირიკაშვილი არის ადამიანი, რომელთანაც საკმაოდ დიდი ხანი იმუშავა.

– რაიმე პოლიტიკურ თანამშრომლობაზე საუბარი არ გვაქვს. უბრალოდ, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით შევხვდი და ვისაუბრეთ. დაგეგმილი გვქონდა ეს შეხვედრა. რა თქმა უნდა, ვეხებით ყველა თემას, რომელიც პრობლემურია და ამაში დასამალი არაფერია, მაგრამ კონკრეტულ პოლიტიკურ თანამშრომლობაზე არაფერი შემიძლია გითხრათ, – თქვა ბესელიამ.

კითხვას, გამორიცხავს თუ არა სამომავლოდ ყოფილ პრემიერთან თანამშრომლობას, ბესელიამ ასე უპასუხა:

– მე, პირადად, ყოველთვის მოხარული ვიქნები მასთან თანამშრომლობით, იმიტომ, რომ მასთან მუშაობა ძალიან კომფორტული იყო. როცა ის პრემიერ-მინისტრი იყო, პრინციპულ საკითხებში მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი.

იცით, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს. როგორც მისგან ვიცი, არ აქვს გადაწყვეტილი პოლიტიკური საქმიანობა. ამიტომ, თუ თავად გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვითანამშრომლებ, მაგრამ არანაირი კონკრეტული გადაწყვეტილება არც აქვს მიღებული და ამაზე შეხვედრაზე თვითონაც ისაუბრა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მოგვიანებით კომენტარი გიორგი კვირიკაშვილმაც გააკეთა.

– მე გამოვრიცხავ პოლიტიკაში წასვლას თავიდან ბევრი მიზეზის გამო, – უთხრა მან ტვ პირველს.

მისი აზრით, ახლა პოლიტიკაში უფრო ახალგაზრდა თაობის დროა.

– მე ვგულისხმობ ადამიანებს, ვინც 30 წელს მიაღწიეს ან 30-ს გადაცდნენ, გარკვეული წარმატება მოიპოვეს ცხოვრებაში და არიან გულანთებულები. ვფიქრობ, ასეთი ადამიანების დროა პოლიტიკაში, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ეკა ბესელიასთან კაფეში შეხვედრაზე კი მან თქვა, რომ ბესელიას შეხვდა ქალაქის ცენტრალურ ადგილას და ვიღაცებმა რატომღაც გადაწყვიტეს, ამისთვის საიდუმლო მოლაპარაკებები დაერქმიათ.

– მე არ ვიცი, ასეთ ადგილას როგორ შეიძლება, საიდუმლოდ ელაპარაკო ადამიანს. ეკასთან მქონდა ჩვეულებრივ, მიმდინარე საკითხებზე საუბარი. ის ძალიან გულგატეხილია და მგონია, რომ არაუსაფუძვლოდ. მის წინააღმდეგ ძალიან ბინძური კამპანია მიმდინარეობს და ის ნამდვილად არ იმსახურებს ამას, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა მამუკა ხაზარაძის პოლიტიკაში წასვლაზე.

მისი თქმით, მთელი ეს ისტორია, რომ რაღაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ გაერთიანებას აპირებდნენ კვირიკაშვილი და ხაზარაძე, არის აბსოლუტურად უსაფუძვლო, ნულოვანი საფუძვლის მქონე მოგონილი მითი კონკრეტული ადამიანების მხრიდან, რომელთაგანაც ნაწილს ჰქონდა ანაკლიის პროექტის შეჩერების სურვილი, ნაწილს მტრობის სურვილი, ნაწილს კი – პოლიტიკური სურვილები და მიზნები.

– სხვათა შორის, ერთხელ მქონდა საუბარი ამაზე ხაზარაძესთან, როდესაც აგორდა ეს ჭორები, მაშინ, წელიწად-ნახევრის წინ, მან თქვა, რომ ის იყო ძალიან მნიშვნელოვან პროექტში ჩართული და არანაირი განზრახვა, რომ პოლიტიკისკენ წასულიყო, არ ჰქონია.

მეც ასე მგონია, რომ როცა ადამიანი ამხელა რაღაცაში ხარ, პოლიტიკაზე ალბათ არ უნდა იფიქრო. დღეს რაც ხდება, მე მგონია, რომ ის, უბრალოდ, კედელთან მიაყენეს და იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა, – დასძინა გიორგი კვირიკაშვილმა.

# „ამას შეიძლებოდა, ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა“

## რა მოხდა ვარკეთილში

28 სექტემბერს ვარკეთილში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსიდან 18 ოჯახის ევაკუაცია განხორციელდა.

ისინი დროებით სასტუმროებში გადაიყვანეს.

საუბარია ვარკეთილის მე-3 მიკრორაიონში მდებარე კორპუსის ერთ-ერთ სადარბაზოზე, რომელიც დიდი ხანია, ავარიულ მდგომარეობაშია. ადგილობრივები ამბობენ, რომ საცხოვრებელი სახლის სარდაფში წყალი გროვდებოდა, რის გამოც კორპუსმა დაიწია, შედეგად კი კედლებს ბზარები გაუჩნდა.

28 სექტემბერს მოსახლეობამ ამ ფაქტის შესახებ გამგეობას და სამაშველო სამსახურს შეატყობინა, რომელთაც აღნიშნეს, რომ კორპუსი საცხოვრებლად საშიშია.

– სარდაფში იყო წყალი თითქმის და გამოეთხარა საძირკველი მთლიანად. ძირითადად, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო მერვე და მეცხრე სადარბაზო. თანდათან, ნელ-ნელა სკდებოდა კედლები მთლიანად. შუაზე იპობოდა ოთახების კედლები და დავრეკეთ 112-ში და პატრულში და მოვიდნენ. თითქმის კიბეებიც გამოცლილი იყო უკვე, აღარ ჰქონდა უკვე არავითარი საყრდენი კიბეებსაც და შეიძლება მოჰყოლოდა ძალიან დიდი მსხვერპლი, – თქვა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.



კორპუსი 9 სადარბაზოსგან შედგება, აქედან 28 სექტემბერს მე-8 სადარბაზოს მცხოვრებლების ევაკუაცია სრულად განხორციელდა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიცია და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები, ასევე მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლები.

გუშინ, 29 სექტემბერს, სამგორის რაიონის გამგებელმა კახა სამხარაძემ, თქვა, რომ, მუნიციპალური ლაბორატორიის პირველადი დასკვნის მიხედვით, 322-ე კორპუსის მე-8 სადარბაზოში იყო კიბის უჯრედის მეორე და მესამე სართულის ჩამოშლის საშიშროება, რომელიც ადამიანების უსაფრთხოებას აყენებდა ეჭვქვეშ.

– სწორედ აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ სადარბაზოდან ხალხის ევაკუირება მოეხდინათ, – განაცხადა გამგებელმა.

მისივე თქმით, გვერდით სადარბაზოებში ცხოვრება საფრთხის შემცველი არ არის, რადგანაც კორპუსის ჩამოშლის საფრთხე არ არსებობს, თუმცა კორპუსი გასამაგრებელია

მე-8 სადარბაზოდან გამოსახლებული ოჯახები საცხოვრებლით მანამდე იქნებიან უზრუნველყოფილი, სანამ კორპუსში გამაგრებითი სამუშაოები არ დასრულდება.

– 18-ვე ოჯახი მე-8 სადარბაზოდან გამოსახლებულია, ზოგი სასტუმროშია, ზოგი თავისი სურვილით წავიდა ნათესავებთან. ჩვენ უზრუნველვყოფთ ყველას საცხოვრებლით, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ აქ უსაფრთხოდ შეიძლება ცხოვრება, – აღნიშნა გამგებელმა სამხარაძემ.

# ატოცში ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრი, 44 წლის გიორგი დეკანოსიძე გარდაიცვალა



გუშინ, 29 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ატოცში ანტისაოკუპაციო მოძრაობის ერთ-ერთი წევრი, 44 წლის გიორგი დეკანოსიძე გარდაიცვალა.

გიორგი დეკანოსიძე მოძრაობის 3 წევრთან ერთად ატოცში 28 სექტემბერს დილით ჩავიდა და გამყოფი ხაზის პერიმეტრზე პატრულირებას ახდენდა, შემდგომ კი იმ საცხოვრებელ სახლში დარჩა, რომელიც ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს ერთ-ერთმა ადგილობრივმა რამდენიმე თვის წინ დაუთმო.

– გიორგი დღეს დილით, გამთენიისას გახდა ცუდად. ოთახში მასთან ერთად მყოფი ჩვენი მოძრაობის წევრი გაალვიძა და უთხრა, რომ გული აწუხებდა. ადგილზე მხოლოდ წნევის გაზომვა შეძლეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. 112-ზე დარეკვის შემდეგ, დაახლოებით 40 წუთში მოვიდა სასწრაფო, თუმცა გიორგი დეკანოსიძე უკვე გარდაცვლილი იყო. სავარაუდოდ, მას გულის შეტევა ჰქონდა.

მას მანამდე გული არ აწუხებდა, თუმცა გიორგი შშმ პირი იყო და როდესაც საოკუპაციო ხაზის პერიმეტრზე, გრძელ მონაკვეთებზე გადაადგილება გვიწევდა, ვცდილობდით, ყოველთვის არ წაგვეყვანა, მაგრამ თავად უარს ამბობდა დარჩენაზე და ყოველთვის ჩვენ გვერდში იყო, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ანტისაოკუპაციო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ბერულავამ.

გარდაცვლილის ცხედარი სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს გორის განყოფილების პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდა.

# რუსთავში მასწავლებელი ნანა წიქარიშვილი მე-6 კლასელმა გოგონამ კიბიდან დააგორა

რუსთავის №5 საჯარო სკოლის მასწავლებელი ნანა წიქარიშვილი მე-6 კლასელმა გოგონამ კიბიდან დააგორა.

ნანა წიქარიშვილი ამბობს, რომ გოგონა ბოლო პერიოდში მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა, უთვალთვალებდა, დასცინოდა და შეურაცხყოფას აყენებდა.

– წელს სწავლა დაიწყო თუ არა, ეს ბავშვი აგრესიას ანთხევდა ჩემ მიმართ, სულ მითვალთვალებდა, სადაც შევდიოდი, მომყვებოდა. ეს იცოდნენ თანამშრომლებმაც. თუ სახეში შევხედავდი, ენას მიყოფდა, თუ არ შევხედავდი, სურათს მიღებდა და სოციალურ ქსელში დებდა, ჩემი სახელით ურეკავდა ჩემს ნათესავებსა და ახლობლებს. მანდატურს ვუთხარი, სურათებს მიღებს-მეთქი და მანდატურმა მითხრა, დირექტორთან ერთად შევიდეთ და მშობელსაც დავიბარებთო.

კიბეებზე როცა ვაპირებდი ჩასვლას, უცებ ვიგრძენი შეჯახება და მერე უკვე აღარაფერი მახსოვს, – თქვა ნანა წიქარიშვილმა.

აღნიშნულ ბრალდებას უარყოფენ მოსწავლე და მისი მშობელი.

გოგონას დედა მასწავლებელს თავად ადანაშაულებს ძალადობაში და ამტკიცებს, რომ მუსიკის პედაგოგმა მის შვილს ფიზიკური შეურაცხყოფა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიაყენა.




საკითხთან დაკავშირებით „ინფო რუსთავი“ ესაუბრა სკოლის ყოფილ დირექტორ არსენ დემეტრაშვილს.

დემეტრაშვილის თქმით, მე-6 კლასის მოსწავლეს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. როგორც სკოლის ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს, ბავშვს კონფლიქტი მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან არაერთხელ ჰქონია.

საქმეში ფიგურანტი მოსწავლის №5 საჯარო სკოლიდან წასვლას მოითხოვს მშობლების ნაწილი.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება სსკ 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბესელიას ჩინჩალაძის გაყვანა ივანიშვილმა დეკემბერში მოსთხოვა“

## გედევან ფოფხაძე: „ოცნებაში“ სხვადასხვა ფრთაა და განწყობაც სხვადასხვაა“



ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტში მიმდინარე მოსმენებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენა მიმდინარეობს. რა მოლოდინი გაქვთ, როგორ შეიძლება, პროცესი დასრულდეს?***

– კლანმა პარლამენტამდე არ მოუშვა ის კანდიდატები, რომლებიც მისთვის სასურველი არ იყვნენ. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ამ პროცესის საჯაროობით მივაღწიოთ, რომ საზოგადოება მიხვდეს, სინამდვილეში რა ხდება სასამართლოსთან დაკავშირებით.

კანდიდატების მოსმენების პარალელურად, ჩვენ ვფიქრობთ, იმ კანდიდატებსაც მოვუსმინოთ და საზოგადოებამ ნახოს ისინიც, ვინც ვერ გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწონებული კანდიდატები კი არ არიან, არამედ ამ სფეროში არიან ადამიანები თავიანთი ბიოგრაფიით, მაღალი კვალიფიკაციით.

ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა ამ პროცესის სწორად წარმოჩენა საზოგადოებისთვის, რომ რეალურად შეიძლებოდა ბევრად უკეთესი სასამართლოს მიღება. იუსტიციის საბჭოში არსებული კლანი მთლიანად ცდილობს სასამართლო სისტემის ხელში ჩაგდებას. ამ ანალიზისა და პოლიტიკური შეთანხმების შემდეგ ჩვენ ვაპირებთ საზოგადოებასთან ერთად სამართლიანობისთვის ბრძოლას.

***– როგორ? კენჭისყრის დღეს შეიძლება, ხალხი პარლამენტთან მივიდეს?***

– ვისაც ექნება ამის სურვილი და ვისთვისაც მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რატომ არა?! სამართლიანობა არ არის ის ღირებულება, რომ უმნიშვნელო იყოს ადამიანებისთვის. ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებაზეა საუბარი.

ამ კონკრეტულ პროცესში ხომ აშკარაა, რომ მოსამართლის კეთილსინდისიერებაზე არავინ ფიქრობს. ყველას უნდა, თავისი ხალხი დასვას უზენაეს სასამართლოში. მთლიანობაში ეს არის პროცესი მართლმსაჯულების გამოცლისა და კლანის მორჩილი უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბების.

***– კლანი ბოლომდე რამდენად გაიტანს თავისას?***

– ეს უკვე დამოკიდებულია ბევრ რამეზე: პირველ რიგში – საზოგადოებაზე, პოლიტიკურ სპექტრზე. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ კლანი არ არის მარადიული, როგორც ეს ბატონ გეწაძეს ჰგონია. ვერ იქნება, რადგან ბევრი წინაპირობაა საიმისოდ, რომ ხალხი გაბრაზდეს და ჩათვალოს, რომ მას სამართლიანობას, მომავალსართმევენ.

***– ამ საკითხის მიმართ საზოგადოება რამდენად არის მგრძნობიარე? სათანადოდ არის გაცნობიერებული?***

– შეიძლება, ვიღაცისთვის არის, შეიძლება, ვიღაცისთვის – არა. ვის როგორ აქვს გაცნობიერებული, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, მერწმუნეთ, 5% უკვე ფონს ქმნის, თუნდაც პროფესიული წრეები. ამიტომ, არა მგონია, სამართლიანობის იდეით მანიპულირება ხელისუფლების მხრიდან წინდახედული და სწორი ნაბიჯი იყოს.

***– ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ივანიშვილმა მას 5 მოსამართლისა და მათ შორის ჩინჩალაძის გაყვანა მოსთხოვა. იცოდით ამის შესახებ?***

– ეკასგან ვიცოდი ამის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბერში, როდესაც ბიძინა ივანიშვილსა და ეკა ბესელიას შორის გაიმართა შეხვედრა.

***– ჩინჩალაძე დღეს რომ არ არის სიაში, ეს რამ განაპირობა?***

– სწორედ იმ პროცესმა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ და საზოგადოებრივმა განწყობებმა. ჩინჩალაძის ხელახლა შემოყვანა უკვე ძალიან სარისკო იქნებოდა.

***– კულუარული ინფორმაციაა, რომ თამარ ალანიას, შოთა გეწაძის კანდიდატურებს „ოცნება“ ჩააგდებს. რას იტყვით?***

– ძნელი სათქმელია. ამაზე მარჩიელობას არ ვაპირებ. მას შემდეგ, რაც სახელობითი კენჭისყრა ჩატარდება, ამ ყველაფერს ვნახავთ. წინასწარ ვერ გეტყვით, რას იზამს „ქართული ოცნება“. მმართველი პარტია მონოლითური არ არის. უმრავლესობაში სხვადასხვა ფრთაა და განწყობაც სხვადასხვაა.

***– ბესელია-ზარდიაშვილის დაპირისპირებაზე უნდა გკითხოთ. როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი განვითარდეს?***

– ვანო ზარდიაშვილი სხდომაზე მაშინ შემოვიდა, როდესაც დამოუკიდებელი დეპუტატების რეგლამენტი იყო. მანამდე არ ყოფილა და არც მერე გამოჩენილა. სიტყვა მოითხოვა და ჭკუა დაგვარიგა, კანდიდატისთვის რა კითხვა უნდა დაგვესვა, მერე დაიწყო ჩვენი მისამართით რეპლიკები და ბოლოს შეურაცხყოფა ეკა ბესელიას მიმართ.

მთლიანობაში, ეს იყო პროვოკაცია, სხვას ვერაფერს დავარქმევ. მას უნდოდა, ქულები ჩაეწერა თავის ბატონებთან, რომ ერთ-ერთ კანდიდატს ჩაგრავდნენ, მე შევედი და ჩემი წესები დავამყარე – ეს უნდოდა ეჩვენებინა მათთვის.

# პაატა დავითაია: „მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს უსმენს. თქვენც აკვირდებით ამ პროცესს და რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– ეს არის სასამართლოს ჯიბეში მოქცევის პროცესი, რაც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. სიაში არ შევიდნენ ისეთი იურისტები, რომლებსაც კარგი ბეგრაუნდი და საზოგადოების სერიოზული ნდობა ჰქონდათ.

***– დაზიანებულია სისტემის იმიჯი და მათ არ უნდათ ამ პროცესში მონაწილეობა?***

– დიახ, სასამართლოს დაზიანებული აქვს იმიჯი ისე, რომ პროფესიონალებს არ უნდათ განაცხადის შეტანა. ჩემთან გასაუბრებით ინიშნებოდნენ მოსამართლეები სტრასბურში. ამაზე მეტი საფეხური ხომ არ არის? მეც თავისუფლად შემეძლო, შემეტანა განაცხადი, მაგრამ არ შევიტანე, იმიტომ, რომ სასამართლოს იმიჯი დაკარგული აქვს.

რომც შემეტანა, მაინც ის კანდიდატები გავიდოდნენ, რომლებიც ხელისუფლებას სჭირდება.

***– მურუსიძისა და ჩინჩალაძის გვარებმა როდემდე უნდა იტრიალოს?***

– შესაძლოა, არც იყოს მურუსიძისა და ჩინჩალაძის სასამართლო, მაგრამ პიარული თვალსაზრისით უკვე ისეა შელახული, რომ კატასტროფული პრობლემაა. ეს, საბოლოო ჯამში, „ქართულ ოცნებას“ კი არ აზიანებს, აზიანებს საზოგადოებას, სახელმწიფოს აზიანებს.

ევროპის საბჭომ პირდაპირ რეკომენდაცია მოგვცა, ნუ ნიშნავთ მოსამართლეებსო. ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა. თუ მაინცდამაინც, რამდენიმე დანიშნეთ და დანარჩენის დანიშვნა გადასწიეთო. ამაზე მეტი რა უნდა გითხრან, რაც ორი დღის წინ ევროპის საბჭომ განცხადება გააკეთა?! ზუსტად ვიცი, რომ ვენეციის კომისიაც გააკეთებს ცოტა ხანში მსგავს განცხადებას. ამით ვინ დაზიანდა? რა თქმა უნდა, სახელმწიფო! ამ სიტუაციაში ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა ჩემთვის.

***– გამოსავალი რა არის ამ სიტუაციიდან?***

– გამოსავალი არის ის, რომ შეჩერდეს ეს პროცესი!

***– რას იზამს პარლამენტი, ჩავარდება დამტკიცება?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. მართლა აღარ ვიცი, რა უნდათ. „ქართული ოცნების“ ლოგიკის გაგება ძალიან ძნელია.

***– ივანიშვილმა შეადგინა ეს სია?***

– არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ შეადგინა. მე პირდაპირ გეუბნებით, რომ ის, რაც ხდება, ხელისუფლებას სურს! ვინ შეადგინა, ბიძინა ივანიშვილმა თუ ჩინჩალაძემ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! პროცესი ხომ განადგურებულია! დანარჩენს რა მნიშვნელობა აქვს!

***– ასეთი დისკრედიტებული მოსამართლეები რომ ინიშნებიან უვადოდ, რა იქნება მერე, ეს ყველაფერი ასე დარჩება?***

– არ ვიცი, რა იქნება მერე, მაგრამ შემიძლია გითხრათ საზოგადოების განწყობა. საზოგადოება ფიქრობს, რომ თუ ხელისუფლება შეიცვალა, ეს მოსამართლეები არ დარჩებიან. აი, ესაა განწყობა. მეორე კუთხით რომ შევხედოთ, ნორმალურია ეს?! ხელისუფლება რომ შეიცვლება, უნდა შევცვალოთ კანონი, რომ ეს მოსამართლეები გავყაროთ. ამით ხომ ისევ სახელმწიფო დაზიანდება! ძალიან მძიმე პროცესებში ვართ!

***– რა გამოასწორებს ამ სიტუაციას?***

– დანიშვნები უნდა შეჩერდეს, როგორც ევროპის საბჭოს რეკომენდაცია იყო. შემდგომ უნდა შემუშავდეს სხვა ფორმატი. სახელმწიფომ უნდა იფიქროს ამაზე. ეს იუსტიციის საბჭო დისკრედიტებულია. ჩვენ გვყავს ღირსეული მოსამართლეები, იურისტები, პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც შეძლებენ ამ შელახული იმიჯის გამოსწორებას.

***– რამდენი რეფორმა ჩავარდა სასამართლოში, ტალღები, მესამე, მეოთხე...***

– სულ ჩავარდება ყველა ტალღა, სანამ იქნება მცდელობა იმისა, რომ სასამართლო სისტემა იყოს მართული.

***– დღეს ჩვენი სასამართლო მთლიანად მართულია?***

– პროცესი გვიჩვენებს, რომ მართულია. მაგალითად რომ ავიღოთ ირაკლი ოქრუაშვილის საქმე, ეს ადამიანი ნახევარ მილიონ ლარს დებდა ბიუჯეტში, რომ აღკვეთის ღონისძიება არ ყოფილიყო, ხოლო უფრო მძიმე დანაშაულებზე ნახევარ-ნახევარი მილიონით ხალხი არ დააპატიმრეს. რატომ არ გამოუშვეს ირაკლი ოქრუაშვილი?! გაიქცევაო. კაცი ნახევარ მილიონს დებს, პასპორტს ტოვებს, სად უნდა გაიქცეს?! აი, აქედან გამომდინარე ვმსჯელობთ და კითხვებიც ჩნდება.

***– როგორ დამთავრდება პარლამენტში ეს პროცესი?***

– მე არ ვიცი „ქართული ოცნების“ ლოგიკა, როგორ შეიძლება, დაამთავროს ეს ყველაფერი. შესაძლოა, ყველა მოსამართლე დაამტკიცონ და მერე ხელისუფლება რომ შეიცვლება, საზოგადოება შეცვლის ამ მოსამართლეებს, ან უნდა გაითვალისწინონ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, დანიშნონ ნახევარი და მეორე ნახევარი – 2020 წლის შემდეგ.

# გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი ციხიდანაც იბრძოლებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საქართველოშიც. ამ ორ ქვეყანაშია ასეთი გაუგონარი მოქმედებები.

***– 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირებს თქვენი პარტია უწევს სამართლებრივ დახმარებას. ამ პოლიტპატიმრების თემაზე რამე სიახლე ხომ არ გაქვთ?***

– ვაგრძელებთ მუშაობას და პროცესი გრძელდება ამ თვალსაზრისით. 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ ჩვენი პარტიის წევრები და ყველას ვთხოვთ, გამოვხატოთ პროტესტი, ერთად დავდგეთ მთელი ქვეყანა, რომ იქნებ როგორმე რამე შედეგი გამოიღოს, იმიტომ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. იმედია, შემოგვიერთდებიან პარტიებიც, საზოგადოებაც და ამ პუტინის ხელისუფლებას საქართველოში დავასრულებთ.

***– ანუ პარტიებთანაც გაქვთ მოლაპარაკებები და ისინი მზად არიან, პროტესტი გამოხატონ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– ყველას მივმართეთ, ყველას შევთავაზეთ და მოვუწოდეთ, რომ თუ ყველანი ერთად არ დავდგებით, მაშინ შეუძლებელია, რაღაც შედეგი მივიღოთ ამ ხელისუფლებისგან.

***– ხომ არ გქონიათ ბოლო პერიოდში შეხვედრა ირაკლი ოქრუაშვილთან და რა განწყობა აქვს მას ბრძოლის თვალსაზრისით?***

– არა, მასთან შეხვედრა არ გვქონია, რადგან მასთან შეხვედრის უფლებას არ გვაძლევენ. არც მისი ოჯახის წევრებს აძლევენ შეხვედრის უფლებას, მხოლოდ ადვოკატების მეშვეობით გვაქვს კონტაქტი. მას აქვს ძალიან მაღალი განწყობა. ის არის ბრძოლის ჟინზე და, რა თქმა უნდა, ბოლომდე იბრძოლებს ციხიდანაც.

მაგრამ, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ივანიშვილის რეჟიმი დიდხანს ვერ შეძლებს, ეს ბიჭები ჰყავდეთ ციხეში, იმიტომ, რომ მთელმა მსოფლიომ იცის, ეს ბიჭები უდანაშაულოები არიან და ამაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, თანაც არაერთხელ, რომ ისინი არიან პოლიტპატიმრები. ირაკლი ოქრუაშვილი არის ბიძინა ივანიშვილის პირადი პოლიტპატიმარი.

***– საუბრობთ შერჩევით სამართალზე და ზუსტად ის პროცესი მიმდინარეობს ახლა პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ გამწესების თაობაზე. როგორ აფასებთ ამ პროცესს?***

– დამატებითი თავის ტკივილია, როდესაც, ფაქტობრივად, ივანიშვილი ნიშნავს თავის ჯიბის მოსამართლეებს და რომლებიც მიიღებენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ისინი იღებენ, ანუ რასაც უწერენ და ავალებენ, იმ გადაწყვეტილებებს იღებენ ეს მოსამართლეები. არავის აქვს იმედი, რომ საქართველოში იქნება სამართლიანი სასამართლო.

ზოგადად ტენდენცია არის მარტივი, რომელიც დაიწყო სალომე ზურაბიშვილმა, როდესაც ციხიდან შეწყალებით გამოუშვა პოლიციელის მკვლელი, ახალგაზრდების მკვლელები, ნარკორეალიზატორები. შემდეგ „ქართული ოცნების“ საგამოძიებო ორგანომ, პროკურატურამ, დაკითხა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დაიწყეს საუბარი, რომ მას ეს არ უნდა ექნა და რომ ეს იყო შეცდომა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თვითონ გააკეთეს იმაზე უარესი, რაც გააკეთა პრეზიდენტმა. მათ ერთად მოაწერეს ხელი თვალების დამთხრელი სპეცრაზმელის ციხიდან გამოშვებას.

***– ბესელიამ გვითხრა, რომ ივანიშვილი მას სთხოვდა, ჩინჩალაძის გაყვანაში დახმარებოდა და ასევე თქვა, როგორ მივიდა ზარდიაშვილი მასთან უთხრა, რომ ივანიშვილთან ერთად ისიც იქნებოდა სასამართლოს პატრონი, თუ მათთან იმეგობრებდა. შეაფასეთ ეს ყოველივე.***

– ბესელია ამბობს იმას, რაც მოხდა. ეს არის ალბათ სიმართლე. როგორც ჩანს, ივანიშვილი მაინც ერიდებოდა ბესელიასთან ურთიერთობის დაძაბვას, იმიტომ, რომ ბესელია იყო ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და კბილებით იცავდა ივანიშვილის გადაწყვეტილებებს. მას არ უნდოდა, ეს ყველაფერი დაეშალა, შესაბამისად, ეს მოლაპარაკება ვერ შედგა.

ბესელიას არ უნდოდა და არ აწყობდა ჩინჩალაძის ყოფნა უზენაეს სასამართლოში და აქედან გამომდინარე მოხდა ის, რაც მოხდა. ამიტომ მოხდა მათ შორის განხეთქილება და დღეს ბესელია დამოუკიდებელია. ამიტომ ის უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ მოსამართლეების დანიშვნის გამო. სიტყვების მოძებნაც კი მიჭირს, იმდენად შოკი იყო მათი გადაწყვეტილებები.

***– რაც ამის შემდეგ გაუკეთეს ბესელიას და როგორ ქილიკიც დაიწყეს უკვე მის მიმართ, ეს როგორ შეიძლება შეფასდეს?***

– ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ბესელიას მიმართ იკადრა, არანაირ ჩარჩოებში რომ არ ჯდება, ამას წყალი არ გაუვა. არა მხოლოდ ზარდიაშვილის ქმედებებს ვგულისხმობ, არამედ იქამდე რაც იკადრა „ქართულმა ოცნებამ“ მასთან მიმართებით, ისიც მაქვს მხედველობაში. არავინ დაიჯერებს, რომ ვიღაცამ ატვირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები სომხეთის ციხიდან.

ცხადია, მათ შორის იყო დაპირისპირება და ივანიშვილმა გადაწყვიტა, ამ გზით დარტყმა მიეყენებინა ბესელიასთვის. ზარდიაშვილის მორალზე, ზნეობასა და კაცობაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. რაც მან იკადრა, ეს არის უკადრებელი, რაც არც პოლიტიკურ ჩარჩოებში ზის და არც – ზნეობრივ ჭრილში.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ: 598-43-98-57**

# ოსები ჟენევაში წნელისის ბლოკ-პოსტზე ილაპარაკებენ

მარიამ მჭედლიშვილი



ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი.

მომავალ 49-ე რაუნდსაც თან ახლავს დაძაბული ფონი და გაურკვევლობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. დაძაბულობას იწვევს ბორდერიზაციის დაუსრულებელი პროცესი, ასევე ცხინვალის პრეტენზიები წნელისთან ქართული ბლოკსაგუშაგოს მოწყობის თაობაზე. ამ პერიოდს დაემთხვა აფხაზური არმიის მოდერნიზაციის პროექტი, რაც რუსეთის ფედერაციამ რამდენიმეჯერ გადაავადა.

ჟენევის საერთაშორისო ფორმატის წინა რაუნდიც რთულ ვითარებაში გაიმართა. მას წინ უძღოდა „გავრილოვის ღამისა“ და მასთან მიბმული პროცესები. ქართულმა მხარემ მაშინ პროტესტი გამოთქვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების ყოფნისა და წვრთნების გამო და განაცხადა, რომ ამით მოსკოვი არღვევს 2008 წელს მიღწეულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

მოახლოებულ რაუნდზე დიდი ადგილი დაეთმობა წნელისის პოსტის საკითხს. ამის შესახებ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები გაეროდან, ეუთოდან და ევროკავშირიდან უკვე გააფრთხილა. ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციამ საერთაშორისო საზოგადოება საყვედურებით აავსო იმის გამო, რომ მისი წარმომადგენლები არ აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას, როცა ის კანონს არღვევს და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე იჭრება“.

ოსებმა თანათავმჯდომარეებს გაატანეს საბჭოთა პერიოდის რუკები, სადაც მოხაზულია სამხრეთ ოსეთის ოლქის საზღვრები.

ცხინვალის რეჟიმი რეგიონის ტერიტორიაზე ისევ არ უშვებს ევროკავშირის დამკვირვებლებს. ცხინვალის განმარტებით, შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის წარმომადგენლები უნდა განთავსდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საოკუპაციო ადმინისტრაცია განაგრძობს ვერსიების გამოთქმას წნელისში ქართული პოსტის აღმართვაზე.

ბოლო ვერსიით, ეს სჭირდებოდა გიორგი გახარიას, რომელიც საგუშაგოს მოწყობის მომენტში პრემიერი არ იყო.

– პრემიერმა გიორგი გახარიამ, ყოფილმა შს მინისტრმა, ეს თანამდებობა დაიმსახურა საქართველოს საზღვრის გამაგრების შემდეგ წნელისში ბლოკსაგუშაგოს მოწყობის გზით. საქართველოს თვალსაზრისით, გახარია ის ადამიანია, რომელმაც სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ჩაატარა გარკვეული სამხედრო ოპერაცია. ამით საქართველოს მმართველმა პარტიამ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ არც რბილია და არც პრორუსული, ის იცავს საქართველოს ინტერესებს, – აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ალან ჯუსოევი.

ჯუსოევი აღნიშნავს, რომ ცხინვალმა არ უნდა დაუშვას რეგიონის ჩათრევა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში. მისი აზრით, ამგვარი მცდელობა კიდევ იქნება, იმიტომ, რომ საქართველოს საარჩევნო კამპანია წინ აქვს.

თბილისიდან დისტანცირებას ოსები ჰუმანიტარულ სფეროშიც ცდილობენ. ახლახან ამოქმედდა საქართველოს საპარტნიორო ფონდისა და იუსაიდის ერთობლივი პროექტი „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“.

პროექტი ეხმარება ბიზნესის დაწყებაში საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას.

– ჩვენთვის დაუშვებელია საქართველოს საქმეებში ჩარევა. საქართველოს მთავრობა ცდილობს, აჩვენოს დასავლეთის პარტნიორებს, რომ ბევრს შრომობს იმისათვის, რომ დასავლეთმა გააგრძელოს უაზრო პროგრამების დაფინანსება. ყველა პროგრამა დასავლეთის გრანტებზე მუშაობს, – ამბობს ჯუსოევი.

ჟენევის მოლაპარაკებების ახლანდელი რაუნდი ემთხვევა ასევე ბუნდოვნებას საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ეს გამოიკვეთა ლავროვისა და ზალკალიანის შეხვედრის შემდეგ. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ დიალოგი ქართული მხარის ინიციატივით შედგა. საქართველოს საგარეო სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა ნიუ იორკში ორგანიზებულია შვეიცარიის მიერ.

რუსეთის ექსპერტების სიტყვებით, შეხვედრის აუცილებლობა და საქართველოს აქტიურობა განაპირობა ახალმა გეოპოლიტიკურმა წესრიგმა სამხრეთ კავკასიაში. ამ პროცესში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. საქართველო პროცესში ჩაება. აზერბაიჯანი და თურქეთი, მათი მტკიცებით, დიდი ხანია, რუსეთთან დგანან. დარჩა სომხეთი, სადაც რუსეთის სიძლიერეს ამყარებს იქ დისლოცირებული სამხედრო ბაზა.

დასავლელი და აზიელი ექსპერტები სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დომინაციის ნიშნებს ვერ ხედავენ. მათი მტკიცებით, რეგიონში ფართოდ შემოდის აშშ, რომელიც განდევნის რუსეთს.

ეს წინააღმდეგობები აისახება მთელ სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე.

# „ოცნება“ ჩვენს ერს ისევ იმ ძირმომპალი იმპერიისკენ მიათრევს“

გულიკო ბალაძე

**არსებობს თუ არა დღეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთთან კონფლიქტის მოგვარების შანსი? გაუჩნდა თუ არა ზალკალიანი-ლავროვის შეხვედრით ქართველ საზოგადოებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების შანსი? „ახალ თაობას“ „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე ესაუბრა.**

**გიორგი ლაღიძე:**

სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა. ჩვენ უზარმაზარ იმპერიასთან მოგვიხდა ბრძოლა. ცალკე აღებული ვერც აფხაზი სეპარატისტები და ვერც ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები ვერაფერს გახდებოდნენ. ჩვენ გვებრძოდა უზარმაზარი ბოროტების იმპერია.

***– დღეს დეოკუპაციის შანსს ხედავთ?***

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია აუცილებლად მოხდება, მაგრამ ეს დროის საკითხია.

***– გაეროს შტაბ-ბინაში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდნენ. რუსეთის მხრიდან რამე სასიკეთოს უნდა ველოდოთ?***

– ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ზალკალიანი-ლავროვის შეხვედრიდან ცრუ მოლოდინებს აჩენენ.

***– შეხვედრამ გააჩინა ცრუ მოლოდინი?***

– არა. შეხვედრას წინ უძღოდა ხელისუფლების დეკლარირებული განცხადებები, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მშვიდობით აპირებენ. ამაში ცუდი არაფერია, კარგია, მაგრამ საქართველოს უახლესი ისტორია ნუ დაგვავიწყდება.

ქართულმა მხარემ, შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრიგება არაერთხელ ცადა, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაწყვეტის კონტექსტში, თუმცა ამ მცდელობას ყოველთვის რუსეთის მხრიდან პირობიდან გადასვლა, ხელშეკრულების დარღვევა ერთვოდა.

კარგად გვახსოვს, რუსებმა ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში შევარდნაძე როგორ მოატყუეს – აფხაზეთში მშვიდობიანი მოსახლეობა დაბრუნდა და შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება დაარღვიეს და რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს.

რუსეთს დღეს ძალიან ესაჭიროება უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება.

***– თუ ასეა, ეს ვითარება არ უნდა გამოვიყენოთ?***

– თუ რუსეთს საქართველოსთან კონფლიქტის რამე ფორმით მოწესრიგება სურს, შესანიშნავი ფორმატია ჟენევის ფორმატი და მის ფარგლებში გააკეთებდა, საერთაშორისო საზოგადოებას დაანახებდა, რომ მათ მოსაზრებებსაც ითვალისწინებს.

***– ახლა ჟენევის ფორმატზე უფრო მაღალი დონის შეხვედრა არ იყო?***

– საქართველოს უახლესი ისტორია გვაჩვენებს, რომ როდესაც საქართველო რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდას მარტო მიუჯდა, ყოველთვის წამგებიან ვითარებაში აღმოჩნდა. ჟენევის ფორმატში მონაწილეობენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. თუ ვინმეს კონფლიქტის მოგვარება უნდა, ამ ფორმატში მოაგვაროს, საქართველოს მოტყუება არ გამოუვა.

მაშინ, როდესაც რუსეთთან ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი გვაქვს, რა კონტექსტში და რა ფორმატით შეხვდა საქართველოს ნომერ პირველი დიპლომატი რუსეთის ნომერ პირველი დიპლომატს?

***– ამ შეხვედრით რა დაშავდა?***

– დაშავებაზე არ ვსაუბრობ. რა გაკეთდა და რა გაკეთდება, შემდგომში შევაფასოთ. რუსეთის მიმართ უფრო კაპიტულანტური დამოკიდებულება ხომ არ იჩენს თავს და საზოგადოებას შეფუთულად ხომ არ გვაჩვენებენ იმას, როგორ მიათრევენ საქართველოს რუსეთის იმპერიაში.

შეიძლება, ამ ხელისუფლებამ ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადოს, იმისათვის, რომ ლარი არ ჩამოიშალოს, ეკონომიკა კიდევ უფრო არ ჩამოიშალოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს დსთ-ში შესვლა. ე.ი. ჩვენ ის უპირობოდ უნდა მივიღოთ?

***– 7 წელია ვაცხადებთ, რომ შეიძლება, ამ ხელისუფლებამ ერთ დღეს გამოგვიცხადოს, რომ რუსეთთან ყოფნა მნიშვნელოვანია, თუმცა ასე არ ხდება და დასავლეთთან უფრო მჭიდრო კავშირი გვაქვს. თქვენ რა საფუძველი გაქვთ, როდესაც აცხადებთ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში შეიძლება, რუსეთის იმპერიაში აღმოვჩნდეთ?***

– მე ვერ ვიტყვი იმას, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლება დასავლეთთან ურთიერთობას ათბობს. ვფიქრობ, ის არც უფრთხილდება დასავლეთთან ურთიერთობებს. მოგეხსენებათ, რაც ხდება ანაკლიის პორტთან დაკავშირებით. პატარა ბავშვიც კი მიხვდება, რომ



**გიორგი ლაღიძე: „როდესაც საქართველო რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდას მარტო მიუჯდა, ყოველთვის წამგებიან ვითარებაში აღმოჩნდა“**

რაღაც ხელოვნურ გადათამაშებებთან გვაქვს საქმე. ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება ხელოვნურად ჭიანურდება.

დეკლარირებულად გაცხადდა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობაში დასავლეთისა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ინტერესი იყო, მაგრამ პროცესი შეაჩერეს. რამდენადაც ვიცი, სამხედრო პროექტების განხორციელებაც იგეგმებოდა და იმ პროექტების განხორციელებაც შეჩერდა.

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენს მრავალტანჯულ ერს ისევ იმ ძირმომპალი იმპერიისკენ მიათრევს.

არ მინდა, ჩემი სიტყვები გაიგოთ ისე, თითქოს ის ურაპატრიოტის პოზიციიდანაა ნათქვამი. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვნახოთ საერთო ენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

***– როგორ გამოვნახოთ საერთო ენა, თუკი არ შეხვდები?***

– მე ზალკალიანისა და მისი გაკეთებული საქმის არაფერი მჯერა. ზალკალიანი ხმაურიან განცხადებებს აკეთებდა დავითგარეჯთან დაკავშირებით, მაგრამ ძალიან საეჭვოდ მიყუჩდნენ, ხმას საერთოდ არ იღებენ. რა გააკეთეს, დავითგარეჯი აზერბაიჯანულ მხარეს ჩააბარეს, საზღვრის დადგენის პროცესი დასრულდა თუ არ დასრულებულა. ამაზე არავინ საუბრობს.

რაც შეეხება შეხვედრას, არსებობს ჟენევის ფორმატი, სადაც შესაძლებელია, დაჯდე რუსეთთან და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით ისაუბრო. კი ბატონო, პირველი დიპლომატები შეხვდნენ ისე, რომ დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი არ არის, მაგრამ, ვნახოთ, რას მოგვცემს ეს ყოველივე.

მეც ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოწესრიგდეს, თუმცა რეალისტი ვარ.

***– რეალობა რას გეუბნებათ?***

– რუსეთთან ურთიერთობა ასე არ მოგვარდება. უბრალოდ, ახლა რუსეთს აწყობს უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობის რაღაც დონეზე მოწესრიგება. თუ საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუწყობს, რუსეთი კიდევ ერთხელ დაიწერს ქულებს.

***– გამოსავალი რა არის?***

– ყველა შეხვედრა იმ სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყოს.

თუ რუსეთის პირველ პირებთან შეხვედრები ამ მიზანს მოემსახურება, ამას მხოლოდ მივესალმები, თუმცა სკეპტიკურად ვარ განწყობილი.

***– თუ ამ შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, იმას ხომ მაინც ველარ იტყვიან, საქართველოს რუსეთთან დალაპარაკება არ უცდია, რომ დევნილები თავიანთ სახლ-კარში თუ არა, ახლობლების საფლავებთან მაინც მიუშვან ან საოკუპაციო ხაზთან ვითარების დეესკალაცია მოხდეს.***

– უახლესმა 30-წლიანმა ისტორიამ არ გვაჩვენა, რომ რუსეთი არ არის სანდო პარტნიორი? ხომ იცით, რამდენჯერ ჩაშალეს რუსებმა მოლაპარაკება, რამდენჯერ შექმნეს ხელოვნური ბარიერი. სეპარატიზმის საფრთხე რუსეთის მიერ არის თავს მოხვეული. იქნებ ზალკალიანმა განმარტოს, ამ შეხვედრამ რა შედეგი მოგვიტანა.

***– საინტერესოა, ზალკალიანს ლავროვმა რა უპასუხა.***

– ვნახოთ, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი ერთია, ოკუპაცია გრძელდება.

# სუსის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელ ერიკ ჰოგთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირაკლი ანთაძე.

შეხვედრაზე მხარეებმა საოკუპაციო ხაზთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ვითარება და მთავარი გამოწვევები მიმოიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანის მიმდებარედ განვითარებულ პროცესებს.

საუბარი შეეხო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებსა და მოლაპარაკებების არსებული ფორმატების ეფექტიანად გამოყენებისა და გაძლიერების აუცილებლობას. ამ კონტექსტში აქცენტი გაკეთდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) როლზე და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისიის შეუზღუდავი წვდომის მნიშვნელობა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) შორის თანამშრომლობის საკითხებზე.

# პროკურორი ნათია ქომოშვილი: „ვარკეთილში 16 წლის მოზარდი ჯგუფურად გაძარცვეს, რის შემდეგაც მან თავი მოიკლა“

## საქმეზე დაკავებულ 5 პირს პატიმრობა შეეფარდა



ვარკეთილში მე-9 სართულიდან 16 წლის ბიჭის გადმოვარდნის საქმეზე დაკავებულ 5 პირს პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა 28 სექტემბერს მიიღო.

საქმეზე დაკავებულ კიდევ 1 პირს სხვა საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების ადვოკატების ნაწილი მათი დაცვის ქვეშ მყოფების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ნაწილი კი მათ მიმართ გირაოს გამოყენებას ითხოვდა.

დაკავებული პირებიდან 2 არასრულწლოვანია. არც ერთი მათგანი ბრალს არ აღიარებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ვარკეთილის მე-3 მასივში 2003 წელს დაბადებულ გ.ყ.-ს მეგობრების თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დამამცირებელ გარემოებაში ძალის გამოყენებით წაართვეს მობილური ტელეფონი.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ არასრულწლოვანმა თავი მოიკლა.

გამოძიება მიმდინარეობს ძარცვის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, თვითმკვლელობამდე მიყვანის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საქმის პროკურორ ნათია ქომოშვილის განცხადებით, არსებობენ თვითმხილველი მოწმეები, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ განახორციელეს ბრალდებულებმა გარდაცვლილის ჯგუფური ძარცვა.

თუ რა სახის მტკიცებულებებია საქმეში, ამასთან დაკავშირებით პროკურორი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ საუბრობს.

– მოცემულ საქმეზე ბრალდების მხარემ არაერთი უტყუარი მტკიცებულება წარმოადგინა, მათ შორის, პირდაპირი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საქმეზე ბრალდებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენას. არიან მოწმეები, რომლებიც პირდაპირ თვითმხილველები არიან, თუ როგორ განახორციელეს საქმეზე ბრალდებულებმა ჯგუფურად ძარცვა. მტკიცებულებების შინაარსს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ მოგახსენებთ.

მოცემულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ბრალდების მხარის მიერ უშუალოდ, იმ დანაშაულთან დაკავშირებით იყო მოთხოვნილი, რაზეც დაკავებულებს ბრალი წარედგინათ, ეს არის ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის ფაქტი. რაც შეეხება თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს და ამ მუხლით რომელიმე ბრალდებული პასუხისგებაში არ არის მიცემული, – განაცხადა ქომოშვილმა.

* * *

– არასრულწლოვანის ტელეფონი 1 დღით დაალომბარდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელეფონი უკან უნდა დაებრუნებინათ. რომელ ძარცვაზეა საუბარი? – ამის შესახებ ბრალდებული გიორგი წიწილაშვილის ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა განაცხადა.

ადვოკატი ირწმუნება, რომ გარდაცვლილმა არასრულწლოვანმა ბრალდებულ პირებს მობილური ტელეფონი ნებაყოფლობით გადასცა, რომელიც დაკავებულებმა ლომბარდში ჩააბარეს.

– შემთხვევა 23 სექტემბერს მოხდა. ტელეფონი 1 დღით დაალომბარდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელეფონი უკან უნდა დაებრუნებინათ. რომელ ძარცვაზეა საუბარი? ტელეფონი ნებითაა მიცემული, ჯგუფურად ძალადობრივად არ არის წართმეული.

როცა ტელეფონს აბარებდნენ, იცოდნენ, რომ ვიდეოკამერის ქვეშ აბარებდნენ, ყველა ლომბარდშია ვიდეოკამერა. გარდა ამისა, ხელშეკრულებაც იდება. ტელეფონი ტაქსის მძღოლის სახელზეა დალომბარდებული, – თქვა როსტიაშვილმა.

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა, შესაბამისად, მისი მიმალვის საფრთხე არ არსებობდა.

– მოხარული ვიქნები, თუ იმ დონის გამოძიება იქნება, რომ შეძლოს დაადგინოს, სახურავზე რა მოხდა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიციაში თვითონ გამოცხადდა, მეც იქ ვიყავი, როცა პოლიციას უთხრა, მოვდივარო, რომელ მიმალვის საფრთხეზეა საუბარი?“ – აცხადებს ზურაბ როსტიაშვილი.

16 წლის ბიჭის ჯგუფურად ძარცვის ბრალდებით დაკავებულების ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

# სამეგრელოში გოგა წურწუმიამ ძმა, რობერტი, შვილის საფლავზე მოკლა

## „ამბობენ, გარდაცვლილზე რაღაც უთხრა ძმამო“



27 სექტემბერს ზუგდიდში ძმებ წურწუმიებს შორის მომხდარი კონფლიქტი მკვლელობით დასრულდა.

1983 წელს დაბადებულმა გიორგი (გოგა) წურწუმიამ საკუთარი ძმა, რობერტი, დანით მოკლა, ამის შემდეგ ტრაგედიის ადგილი დატოვა და სოფელ ჯუმში, თავის საცხოვრებელ სახლში დაბრუნდა, მანქანა სახლის ეზოში დააყენა, თვითონ ქუჩაში გავიდა, სადაც სამართალდამცავებმა ოპერატიულად დააკავეს.

ჯერჯერობით უცნობია, მოუყვა თუ არა სახლში დაბრუნებულმა გოგამ მეუღლეს და ოჯახის წევრებს, რომ საკუთარი ძმა ჰყავდა მოკლული. გოგას მეუღლე და ერთი შვილი ჰყავს და ისინი სოფელ ჯუმში ცხოვრობენ.

მკვლელობის მოტივად ძმებს შორის შელაპარაკება სახელდება. როგორც სოფელ ჯუმში მერის წარმომადგენელმა ზურაბ ფაჟავამ კვირის პალიტრას უთხრა, სავარაუდოდ, დანაშაულის ჩადენის დროს ორივე ძმა ნასვამი იყო.

– დევნილები არიან. მკვლელობაში ბრალდებული ჩვენს სოფელშია ჩასიძებული. დანაშაული ზუგდიდშია მომხდარი, მეორე ძმა გერმანიიდან იყო ჩამოსული. ჩვენს სოფელში მაცხოვრებელს შვილი ჰყავს გარდაცვლილი.

ამბობენ, სასაფლაოზე იყვნენ ასულები და იქ მოხდა დანაშაულიო, რაზე იჩხუბეს ძმებმა, ამას გამოძიება დაადგენს, – ამბობს ზურაბ ფაჟავა.

ზუგდიდში მომხდარი მკვლელობის შესახებ „ნიუპოსტს“ სხვა ვერსია აქვს: როგორც ადგილობრივები ყვებიან, ძმებს შორის უთანხმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც გარდაცვლილმა დედის შეურაცხყოფის გამო ძმას შენიშვნა მისცა. აღნიშნული ფაქტი მათ საცხოვრებელ სახლში მოხდა. ამის შემდეგ ერთმა ძმამ მეორე წაიყვანა თავის შვილის საფლავზე, სადაც მკვლელობა მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და სწორედ 108-ე მუხლით წაუყენეს ბრალი გიორგი წურწუმიას.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1985 წელს დაბადებულ ძმას, წარსულში არსებული უთანხმოების ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ცივი იარაღით სხეულის დაზიანებები მიაყენა, მიღებული ჭრილობებით დაშავებული გარდაიცვალა. ძალოვანთა ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მკვლელობის იარაღი, დანა, ამოღებულია.

უფრო მეტი დეტალის გასარკვევად კვირის პალიტრა სოფელ ჯუმში წურწუმიას ახლობელს დაუკავშირდა.

– გაოგნებულები ვართ მომხდარით და ვერ აგვიხსნია, რა უნდა მომხდარიყო ძმებს შორის. ბრალდებული ძალიან კარგი პიროვნებაა, უკონფლიქტო, ბევრჯერ გვიქეიფია ერთად, ბევრჯერ ვყოფილვარ მის გვერდით, მაგრამ მას არასოდეს კონფლიქტი არავისთან არ მოსვლია. რა მოხდა, არ ვიცით, გამოძიება დაადგენს ყველაფერს.

ძმები გალიდან არიან, 3 ძმა და 1 და ჰყავთ, 2 ძმა გერმანიაში ცხოვრობს, წლებია და რობერტი 3 დღეა, რაც გერმანიიდან ჩამოვიდა. გოგას 3 წლის წინ 7 თვის შვილი გარდაეცვალა და მას შემდეგ ძალიან განიცდიდა მომხდარს, სულ შვილის საფლავზე ადიოდა, ის 7 თვეც სანამ ბავშვი ცოცხალი იყო, სულ საავადმყოფოებში გაატარა. ამბობენ, გარდაცვლილზე რაღაც უთხრა ძმამ და მისმა სიტყვებმა ისე გაანაწყენა, რომ ეს მოხდაო. რამდენად მართალია, არ ვიცი, ალბათ თავის ჩვენებაში იტყვის ყველაფერს.

გოგას ნათესავები ზუგდიდში, დევნილების სახლში ცხოვრობენ. რობერტი დაოჯახებული არ იყო, დიდი ხანია, გერმანიაში ცხოვრობს, რაზე იკამათეს, ვერ დავადგინეთ ჯერ. ერთი დაღუპულია, მეორე – დაკავებული. სასაფლაოზე ყოფილან და იქ მომხდარა მკვლელობა, ამის შემდეგ მოსულა გოგა სახლში, მანქანა გაუჩერებია, თვითონ გავიდა სახლიდან ფეხით და გზაზე პოლიცია შეხვედრია და დაუკავებიათ.

ამბობენ, მარტო ძმები იყვნენო, ამიტომ ფაქტს თვითმხილველი არ ეყოლება. ყველანი შეწუხებულები ვართ, ვერ აგვიხსნია, რამ მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, რომ საკუთარი ძმა მოკლა.

მე და გოგა ძმებივით ვიყავით, უკონფლიქტო ადამიანი იყო, კეთილი პიროვნებაა და ამიტომ არის უფრო შოკისმომგვრელი და წარმოუდგენელი. რამ გამოიყვანა წყობიდან, არ ვიცით, – თქვა წურწუმიების ახლობელმა.

ფაქტზე გამოძიება გრძელდება.

# ქუთაისის აეროპორტში მგზავრი გარდაიცვალა

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში უკრაინის მოქალაქე გარდაიცვალა.

შემთხვევა 28 სექტემბერს, დილით მოხდა. არსებული ინფორმაციით, მგზავრი გულის შეტევით გარდაიცვალა. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „გაუთქმელობას მოვაწერე ხელი და ვერაფერს გეტყვით“

## დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორები პროკურატურამ გამოკითხა



28 სექტემბერს პატიმართა შეწყალების საქმეზე გენერალურ პროკურატურაში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორების გამოიკითხნენ.

უწყებაში გიორგი ტალახაძე, გიორგი მიროტაძე და ლაშა ხურცილავა იყვნენ დაბარებული.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი მხოლოდ გიორგი მიროტაძემ გააკეთა, დანარჩენებმა კი აღნიშნეს, რომ გაუთქმელობის პირობას ხელი მოწერეს, შესაბამისად, გამოკითხვის დეტალებზე ვერ ისაუბრებენ.

კითხვაზე, მიაწოდა თუ არა გამოძიებას რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მიროტაძე ასე პასუხობს: „ჩემი აზრით, არა“. მისივე თქმით, ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხა.

გიორგი მიროტაძის განმარტებით, იურისტი არ არის და საქმეში არსებულ არც ერთ პირს არ იცნობს. მიროტაძის თქმით, დიმიტრი გაბუნიას პარტნიორი „უფრო კლიენტების მოზიდვის თვალსაზრისით არის“.

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, შეწყალებულთა სიასთან კავშირი არ ჰქონია. მიროტაძის განმარტებით, ასევე არ იცის, რა როლი აქვთ ამ საქმეში იმ პირებს, ვინც დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო კომპანიიდან პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს.

– აღელვებული ნამდვილად არ ვარ. გაუთქმელობის ხელწერილი დავდე, აქედან გამომდინარე, ვერაფერს მოგახსენებთ, – განაცხადა მიროტაძემ.

# სარფში ნარკოდანაშაულის გამო 52 წლის ბ.ჩ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით, 1967 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ბ.ჩ. საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული ნივთიერება „მეტადონის“ შემცველი 10 აბი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# თბილისში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ა.დ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელ ბინაში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკისას, გადაჭრილი სანადირო თოფი, კალაშნიკოვის სისტემის „აკმ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 30 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# სამგორში სამარშრუტო ტაქსი მანქანას დაეჯახა

## 1 გოგონა დაშავდა




გუშინ, 29 სექტემბერს, სამგორში, მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და სამარშრუტო ტაქსი შეეჯახნენ, რის შედეგადაც სამარშრუტო ტაქსის მგზავრი გოგონა მსუბუქად დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, დაშავებული გოგონა საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მათივე ცნობით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# კურტ ვოლკერი გადადგა

## ტრამპი-ზელენსკის სკანდალი გრძელდება

აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი უკრაინაში კურტ ვოლკერი თანამდებობას ტოვებს.

კურტ ვოლკერი მოხსენიებული იყო სპეცსამსახურების თანამშრომლის იმ მოხსენებაში, რომელიც აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტების საიდუმლო სატელეფონო ზარს ეხებოდა.

ამ ზარის გამო აშშ-ში სკანდალი აგორდა და დემოკრატიულმა პარტიამ კონგრესში უკვე დაიწყო ტრამპის იმპიჩმენტის პროცესი.

კურტ ვოლკერმა შეათანხმა შეხვედრა პრეზიდენტ ტრამპის პირად ადვოკატ რუდი ჯულიანისა (ნიუ იორკის ყოფილი მერი) და პრეზიდენტ ზელენსკის მრჩეველ ანდრეი ერმაკს შორის. ვოლკერი დაბარებულია კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის სხდომაზეც.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის კონგრესის „დემოკრატმა" წევრებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ 25 ივლისს გამართული სატელეფონო საუბრის დროს დონალდ ტრამპი ვლადიმერ ზელენსკის თავისი ოპონენტის ჯო ბაიდენისა და მისი ვაჟის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უკრაინას სამხედრო დახმარების შეწყვეტით ემუქრებოდა.



თეთრმა სახლმა ოთხშაბათს დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ ზელენსკის იმ სატელეფონო საუბრის სტენოგრამა გამოაქვეყნა, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის სთხოვს, ყურადღება მიაქციოს ყოფილი ვიცეპრეზიდენტის ჯო ბაიდენისა და მისი ვაჟის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებას, თუმცა ჩანაწერში აშშ-ის სამხედრო დახმარების ან მისი შეწყვეტის შესახებ საუბარი არ არის.

## დანია „ჩრდილოეთის ნაკად 2"-ის წინააღმდეგ



დანიამ თავის ტერიტორიაზე „ჩრდილოეთის ნაკად 2"-ის მშენებლობის თაობაზე თანხმობა არ მისცა. დანიას გაზის მილების გაყვანის აკრძალვის უფლება არ აქვს, მაგრამ შეუძლია, უსაშველოდ გაჭიმოს დრო, ეს კი მილიონები დაჯდება. თუ ამის შემდეგ ამერიკელები სანქციებს შემოიღებენ იმ ფირმების მიმართ, რომლებიც ხსენებული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ, „ჩრდილოეთის ნაკადი 2" ვერ განხორციელდება.

– ამერიკელებს მართლაც შეუძლიათ, დაბლოკონ იმ ევროპული ფირმების საქმიანობა, რომლებიც ამ პროექტის განხორციელებაში არიან ჩაბმულნი. მაშინ მშენებლობას ჩვენ განვახორციელებთ, – ამბობს გაზპრომის თავკაცი მილერი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო კი იმუქრება, რომ სანქციებს გაზპრომის მიმართაც დააწესებენ.

– „ჩრდილოეთის ნაკად 2"-ის განხორციელებას არ დავუშვებთ, – თქვა პომპეომ.

## უზბეკეთის უშიშროების ყოფილი შეფი გაასამართლეს

ტაშკენტში უზბეკეთის უშიშროების ყოფილი შეფი აბდულაევი გაასამართლეს.

მას ეს პოსტი 2017-18 წლებში ეკავა.

აბდულაევი მხილებულ იქნა კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში, დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში და ა.შ.



მას 18 წლით პატიმრობა მიესაჯა.

## ირანი აშშ-სგან 50 მილიარდ დოლარს ითხოვს



აშშ ბირთვულ შეთანხმებაში უნდა დაბრუნდეს და ირანს 50 მილიარდი დოლარი გადაუხადოს, რათა ირანი ბირთვული შეთანხმების რეალიზებას დაუბრუნდეს. ამის შესახებ ირანის უმაღლეს ლიდერთან არსებული სათათბირო ორგანოს მდივანმა მოჰსენ რეზაიმ განაცხადა.

– თუკი ამერიკას სურს, დავუბრუნდეთ ბირთვული შეთანხმების შესრულებას, ეს მათ თავად უნდა გააკეთონ და, სულ მცირე, 50 მილიარდი დოლარი უნდა გადაგვიხადოს იმ ზარალის სანაცვლოდ, რომელიც სანქციების გამო მოგვადგა, – განაცხადა რეზაიმ.

მისივე თქმით, ვაშინგტონი თავისი სანქციებით ქვეყნის სავაჭრო კავშირების გაწყვეტასა და მის ბლოკადას ცდილობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ერთი წუთის დაგვიანებისთვის ფოსტალიონი სამსახურიდან გაათავისუფლეს




28 წლის სამუშაო სტაჟის მქონე ბრიტანელი ფოსტალიონი სამსახურიდან ერთი წუთის დაგვიანების გამო გაათავისუფლეს.

ინციდენტი 2018 წლის სექტემბერში მოხდა, თუმცა ეს მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. რობერტ ლოკიერს ქალაქ ეშფორდიდან ამანათი ბანკში 13:00 საათამდე უნდა მიეტანა. როდესაც მამაკაცი დანიშნულების ადგილზე მივიდა, მას საერთო რიგში დგომა მოუწია და ამიტომ მიღების ქვითარზე ფინანსური დაწესებულების თანამშრომლის ხელმოწერა 13:01 საათზე დაფიქსირდა. ამასთან, თავად ლოკიერიც და ბანკის თანამშრომელიც ამტკიცებენ, რომ ფოსტალიონი დანიშნულების ადგილზე ვადის ამოწურვამდე ოთხი წუთით ადრე მივიდა.

მამაკაცმა სამსახურიდან საკუთარი განთავისუფლება გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ მისი მხარე არ დაიჭირა. სასამართლომ გაარკვია, რომ ერთი წლის განმავლობაში ლოკიერი როჯერს ორჯერ გამოუტანეს დისციპლინური სასჯელი და გააფრთხილეს, რომ ნებისმიერი მისი შემდგომი დარღვევა სამსახურიდან დათხოვნით დასრულდებოდა.

## დედა უყურადღებო გოგონას გამდიდრებაში დაეხმარა




ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ლორელის მკვიდრმა ლატარიაში მსხვილი მოგება კინაღამ ხელიდან გაუშვა.

33 წლის ქალმა აღიარა, რომ ლატარიის ბილეთებს წელიწადში მხოლოდ ერთ-ორჯერ ყიდულობს. 7 სექტემბერს მან მორიგი ბილეთები შეიძინა, ქაღალდების შეკვრაზე დააგდო და დაივიწყა. ერთი კვირის შემდეგ მან ახალ სახლში გადასვლა დაიწყო.

დედამისმა ქალიშვილის მიერ დატოვებული ქაღალდების შეკვრა ნახა და მათ შორის ლატარიის ბილეთი შენიშნა.

– იმ მომენტისთვის ბილეთი საერთოდ აღარ მახსოვდა, იმდენი საქმე მქონდა გასაკეთებელი. ყველგან ჩემი პირადი ნივთებით სავსე ყუთები ეწყო, – იხსენებს ქალი, – ბილეთი მას რომ არ ეპოვა, მე ნამდვილად ველარ ვიპოვიდი.

მომგებიანმა ლატარიის ბილეთმა ამერიკელს 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– გულახდილად ვიტყვი, მე მის ქაღალდებს თვალი იმისთვის გადავავლე, რათა გამერკვია, მათ რაიმე ღირებულება გააჩნდათ თუ, უბრალოდ, გადასაყრელები იყო. სწორედ მაშინ შევნიშნე ლატარიის ბილეთი და მისი შემოწმება გადავწყვიტე, – განაცხადა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის დედამ.

ქალმა გადაწყვიტა, მოგებული თანხა შვებულებასა და ინვესტიციაში დახარჯოს.


# ცეკვის აკადემია თელა

გიწვევთ

თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების შესასწავლად



ჯგუფები იმუშავებენ ასაკობრივი დაყოფით: 30-45 წლის ახალგაზრდები, 45-60 წლის ჭარმაგები, 60 წლის ზევით სენიორები.

ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან.

მისამართი: აკაკი წერეთლის 126.

ტელ: 599-77-80-08 235-52-75

Email: academytela@yahoo.com


## ძროხებმა პენსიონერი ქალი გადათელეს



ინგლისის სასექსის საგრაფოში ძროხების ნახირმა 87 წლის ქალი იმსხვერპლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

თავდასხმა მიმდინარე წლის 7 იანვარს მოხდა, თუმცა ამ საქმის გამოძიება მხოლოდ ახლახან დასრულდა. თვითმხილველ ბრიონი დილამორის თქმით, მობალახე ძროხები მოულოდნელად გაცოფდნენ და თავს დაესხნენ ჰილარი ადეირს, რომელიც ძაღლს ასეირნებდა. ქალი წამოდგომასა და გაქცევას შეეცადა, თუმცა ძროხები კიდევ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ.

დილამორმა დაუყოვნებლივ გამოიძახა სასწრაფო დახმარება. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მოხუცი ქალბატონი შვეულმფრენით ლონდონის წმინდა გიორგის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მისი მდგომარეობიდან გამოყვანა ვერ შეძლეს. ადეირი მიღებული ტრავმებისგან ერთ კვირაში გარდაიცვალა. გამოძიების დასკვნით, პენსიონერი ქალბატონის დაღუპვა უბედური შემთხვევის შედეგი იყო.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ 6 იანვარს იგივე ძროხები თავს რეიჩელ ტომპსონს, მის მეუღლე კარლასა და მათ ძაღლსაც დაესხნენ. მამაკაცმა ოჯახის წევრების დაცვა ჯოხის დახმარებით მოახერხა, რომელიც ძროხებს დაუშინა. ნახირის მეპატრონე ედვინ ბრუკსი მათ დაუკავშირდა და დაარწმუნა, რომ სიტუაცია საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანა.

ადეირის დაღუპვის შემდეგ ნახირი სხვა რაიონში გადაიყვანეს და ადამიანებისგან მოშორებით ამყოფებენ.

## ლატარიის გამარჯვებული აფრიკაში უცნაურ გარემოებაში დაიღუპა



ეთიოპიაში უცნაურ გარემოებაში ლატარიაში მილიონობით კანადური დოლარის მომგები მამაკაცი დაიღუპა.

მაიკლ გებრუ ეთიოპიაში დაიბადა და გაიზარდა. მოგვიანებით ის კანადაში გადაბარგდა, ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ. 2017 წელს მამაკაცი უმუშევარი დარჩა. სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ მან ლატარიის ბილეთი იყიდა და მოულოდნელად 10,7 მილიონი კანადური დოლარი მოიგო.

გებრუმ ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ სახლის ყიდვა და იამაიკაში ჩასვლა სურდა. გარდა ამისა, ის მოგებული თანხის ქველმოქმედებაში დახარჯვას გეგმავდა.

– ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ ლატარიაში მოვიგებდი, ღარიბებს დავეხმარებოდი, – განაცხადა მაშინ მამაკაცმა.

მისი ნათესავები ამტკიცებენ, რომ გებრუმ სიტყვა არ გატეხა. მას შემდეგ, რაც მილიონერი გახდა, ხშირად ჩადიოდა ეთიოპიაში და ცდილობდა, თავისი ყოფილი თანამემამულეების ცხოვრება უკეთესობისკენ შეეცვალა.

დაახლოებით ორი კვირის წინ ის ისევ ჩაფრინდა აფრიკაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კანადაში მისმა ნათესავებმა მისი დაღუპვის შესახებ შეიტყვეს. ისინი ეჭვობენ, რომ მამაკაცი ფულის გამო მოკლეს. მათ იმედი აქვთ, ეთიოპიაში კანადის საელჩოსგან მომხდარის თაობაზე დამატებით ინფორმაციას მიიღებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# „საქართველო რუსეთი არ არის“

## ჰეიგისა და ბრეგვაძის მესიჯი იაპონელებს

**საქართველო-ურუგვაი 33:7**

გუშინ, 29 სექტემბერს, ბორჯღალოსნებმა ურუგვაის 5 ლელო გაუტანეს, 33:7 დაამარცხეს და 2019 წლის მსოფლიო თასზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2003 წლიდან დღემდე საქართველო მეხუთედ თამაშობს რაგბის უმაღლეს ფორუმზე, ურუგვაისთან მათი მე-18 თამაში იყო და პირველად მოიპოვა 4 და მეტი ლელოს გატანისთვის დაწესებული ბონუს-ქულა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ურუგვაისთან მეექვსედ ვითამაშეთ და მეოთხედ მოვიპოვეთ გამარჯვება, თანაც სარეკორდო, 26 ქულის სხვაობით (წინა რეკორდი 27:3). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამხრეთამერიკელებს პირველად 2003 წლის მსოფლიო თასზე ვეთამაშეთ და გამარჯვება მეტოქეს დარჩა (24:12), ახლა კი მსოფლიოს თვალწინ ღირსეული რევანში შედგა.

„ბორჯღალოსნებმა“ შეძლეს და ურუგვაის საკუთარი თამაში მოახვიეს. მათ მეტოქეს ბურთი არ დაუთმეს, მუდმივ წნეხში ამყოფეს და სათამაშო დროის 69% მეტოქის ნახევარზე გაატარეს, 59% კი ბურთს აკონტროლებდნენ.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ჩვენმა გუნდმა ბურთით ხელში 128-ჯერ შეუტია და ჯამში 432 მეტრი მოიგო, მეტოქემ კი 78 ცდაზე მხოლოდ 162 მეტრი გაიარა. ბორჯღალოსნებმა 9-ჯერ სუფთად გაჭრეს ხაზი და მბოჭავი 23-ჯერ ჩამოიცილეს, თუმცა გადამწყვეტი ის განწყობა და სწორი სათამაშო სქემა გამოდგა, რომელიც გუნდმა სამხრეთამერიკელებთან შეარჩია.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ოთარ გიორგაძე დასახელდა, რომელმაც 1 ლელო გაიტანა, 1 შექმნა და ბურთით ხელში 81 მეტრი გაიარა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიო თასზე პირველი დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და 5 ქულით ჯგუფში მე-3 ადგილამდე დაწინაურდა. 3 ოქტომბერს ჩვენი მეტოქე ფიჯის ნაკრები იქნება და, თუ ეს შეხვედრაც საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, ის მე-6 მსოფლიო თასზე თამაშს ნაადრევად დაიბევებს.

**საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

ხმალაძე (მათიაშვილი 72), ძნელაძე, კვესელაძე, მალაღურაძე (შარიქაძე 59), თოდუა, აბჟანდაძე, აფრასიძე (ლობჟანიძე 67); გოგიჩაშვილი, ბრეგვაძე (კარკაძე 64), ჩილაჩავა (მელიქიძე 48), ლომიძე, მიქაუტაძე (გორგოძე 59), სუთიაშვილი (გორგაძე 77), სალინაძე, გიორგაძე.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბრეგვაძემ და მილტონ ჰეიგმა მომენტით ისარგებლეს და შეხვედრის შემდგომ მომხდარ უსიამოვნო ფაქტზე ისაუბრეს. საქმე ის არის, რომ, როდესაც მატჩი დასრულდა, სტადიონზე შეცდომით რუსული სიმღერა ჩართეს...



**მილტონ ჰეიგი:**

— მატჩის შემდეგ ჩართული სიმღერა რუსული იყო. ჩვენ გვინდა, რომ გარკვევით ვთქვათ რუსეთი საქართველო არ არის და საქართველო რუსეთი არ არის. ჩვენ განსხვავებული ენები გვაქვს, განსხვავებული კულტურა და ყველაფერი განსხვავებული გვაქვს. რაც შეეხება მატჩს: ძალიან ამაყი ვარ ბიჭებითა და იმ თამაშით, რაც ვაჩვენეთ.

**ჯაბა ბრეგვაძე:**

— მინდა, რომ ამ მომენტით ვისარგებლო და იმ ადამიანს მივმართო, რომელმაც რუსული სიმღერა ჩართო — გთხოვთ შემდეგ ჯერზე შეცდომა აღარ დაუშვათ... ურუგვაისთან მატჩამდე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და ყველაფერი გავაკეთეთ ამ შეხვედრისთვის. ვიცოდით, რომ რთული მატჩი იქნებოდა. მზადების წინ ვსაუბრობდით, რომ გვსურდა ჩვენს ხალხს ეამაყა ჩვენით. იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში დარჩნენ და დილით ჩვენი თამაშის საყურებლად გაიღვიძეს.

ჩვენივე ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს ფავორიტები — უელსი და ავსტრალია დაუპირისპირდნენ. გრანდების ჯახი მაინც სხვაა. მაგარი თამაში ვნახეთ, რომელიც საბოლოოდ უელსმა 4 ქულით მოიგო — 29:25.

მართალია, ვოლაბებმა უფრო მეტი ლელო დადეს (3:2), მაგრამ ბრიტანელებმა იმარჯვეს. უელსმა ორივე ლელო პირველ ტაიმში დადო და შესვენებაზე 15-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა. სხვაობა ნელ-ნელა მცირდებოდა. 20 წუთი რჩებოდა, როცა ავსტრალიელმა ჰუპერმა დაალელოვა და დრო საკმაოდ იყო, მაგრამ მორჩა, ბრიტანელებმა ბევრის საშუალება აღარ მისცეს მეტოქეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 72:39 | 9 |
| 2.ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 64:50 | 6 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 47:50 | 5 |
| 4.ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 37:60 | 4 |
| 5.ფიჯი | 2 | 0 | 0 | 2 | 48:69 | 2 |

# შედეგები

## 28 სექტემბერი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

შეფილდი-ლივერპული ..................... 0:1
ასტონ ვილა-ბარნლი ..................... 2:2
ბორნმუთი-ვესტ ჰემი ..................... 2:2
ვულვზი-უოტფორდი ..................... 2:0
კრ.პალასი-ნორვიჩი ..................... 2:0
ტოტენჰემი-საუთჰემპტონი ..................... 2:1
ჩელსი-ბრაიტონი ..................... 2:0
ევერტონი-სიტი ..................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 7 | 7 | 0 | 0 | 18-5 | 21 |
| 2.სიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 27-7 | 16 |
| 3.ვესტ ჰემი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-9 | 12 |
| 4.ტოტენჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-9 | 11 |
| 5.ლესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 6.ჩელსი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-13 | 11 |
| 7.ბორნმუთი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 11 |
| 8.არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-10 | 11 |
| 9.კრ.პალასი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-7 | 11 |
| 10.ბარნლი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 11.მანჩესტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 12.შეფილდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 13.ვულვზი | 7 | 1 | 4 | 2 | 9-11 | 7 |
| 14.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 15.ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| 16.ბრაიტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 6 |
| 17.ნორვიჩი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-16 | 6 |
| 18.ასტონ ვილა | 7 | 1 | 2 | 4 | 8-11 | 5 |
| 19.ნიუკასლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 20.უოტფორდი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-20 | 2 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ქპრ-ვესტ ბრომვიჩი ..................... 0:2
ბლექბერნი-ლუთონი ..................... 1:2
დერბი-ბირმინგემი ..................... 3:2
მიდლსბრო-უენსდი ..................... 1:4
პრესტონი-ბრისტოლი ..................... 3:3
სუონსი-რედინგი ..................... 1:1
ჰადერსფილდი-მილუოლი ..................... 1:1
ჰალი-კარდიფი ..................... 2:2
ჩარლტონი-ლიდსი ..................... 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ლევერკუზენი ..................... 0:3
მაინცი-ვოლფსბურგი ..................... 0:1
პადერბორნი-ბაიერნი ..................... 2:3
ლაიფციგი-შალკე ..................... 1:3
ჰოფენჰაიმი-გლადბახი ..................... 0:3
დორტმუნდი-ვერდერი ..................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 19-6 | 14 |
| 2.ლაიფციგი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-6 | 13 |
| 3.შალკე | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| 4.გლადბახი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 5.ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 6.ვოლფსბურგი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 7.დორტმუნდი | 6 | 3 | 2 | 1 | 17-9 | 11 |
| 8.ფრაიბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 9.აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 10.ვერდერი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-14 | 7 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-10 | 5 |
| 12.აუგსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-14 | 5 |
| 13.ფორტუნა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| 14.უნიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 15.ჰერტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |
| 16.კიოლნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 17.მაინცი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |
| 18.პადერბორნი | 6 | 0 | 1 | 5 | 8-17 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-დარმშტადი ..................... 2:2
კარლსრუე-ჰაიდენჰაიმი ..................... 1:1
რეგენსბურგი-ჰამბურგი ..................... 2:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ვალენსია ..................... 0:1
ხეტაფე-ბარსელონა ..................... 0:2
გრანადა-ლეგანესი ..................... 1:0
ატლეტიკო-რეალი ..................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-6 | 15 |
| 2.გრანადა | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 3.ატლეტიკო | 7 | 4 | 2 | 1 | 7-4 | 14 |
| 4.ბარსელონა | 7 | 4 | 1 | 2 | 16-10 | 13 |
| 5.სოსიედადი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 6.ბილბაო | 7 | 3 | 3 | 1 | 7-3 | 12 |
| 7.ვილიარეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 18-11 | 11 |
| 8.სევილია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 9.ვალენსია | 7 | 2 | 3 | 2 | 10-11 | 9 |
| 10.ვალიადოლიდი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| 11.ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-15 | 8 |
| 12.ხეტაფე | 7 | 1 | 4 | 2 | 10-11 | 7 |
| 13.ლევანტე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 14.ოსასუნა | 6 | 1 | 4 | 1 | 4-5 | 7 |
| 15.სელტა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 16.ესპანიოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| 17.ალავესი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-7 | 5 |
| 18.ეიბარი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 19.მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 20.ლეგანესი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-10 | 2 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფუენლაბრადა-რაიო ..................... 2:2
ალკორკონი-ესტრემადურა ..................... 0:2
უესკა-ხირონა ..................... 1:0
რასინგი-ნუმანსია ..................... 0:0
ელჩე-პონფერადინა ..................... 1:0

### იტალია. სერია ა

იუვენტუსი-სპალი ..................... 2:0
სამპდორია-ინტერი ..................... 1:3
სასუოლო-ატალანტა ..................... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 6 | 6 | 0 | 0 | 13-2 | 18 |
| 2.იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-5 | 16 |
| 3.ატალანტა | 6 | 4 | 1 | 1 | 15-9 | 13 |
| 4.ნაპოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 13-9 | 9 |
| 5.კალიარი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 6.ტორინო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 10-9 | 8 |
| 8.ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 9.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| 10.სასუოლო | 6 | 2 | 0 | 4 | 11-12 | 6 |
| 11.ბრეშა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 12.პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 13.მილანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| 14.ლეჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 6-11 | 6 |
| 15.ფიორენტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 |
| 16.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 17.ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 18.უდინეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-5 | 4 |
| 19.სპალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-13 | 3 |
| 20.სამპდორია | 6 | 1 | 0 | 5 | 4-14 | 3 |

### იტალია. სერია ბ

ვენეცია-პიზა ..................... 1:1
ფროზინონე-კოზენცა ..................... 1:1
იუვე სტაბია-ჩიტადელა ..................... 0:1
ემპოლი-პერუჯა ..................... 3:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-ნანტი ..................... 0:1
ბორდო-პსჟ ..................... 0:1
ანჟე-ამიენი ..................... 1:1
მეცი-ტულუზა ..................... 2:2
მონაკო-ბრესტი ..................... 4:1
ნიცა-ლილი ..................... 1:1
რეიმსი-დიჟონი ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 6 | 0 | 2 | 13-4 | 18 |
| 2.ანჟე | 8 | 5 | 1 | 2 | 16-11 | 16 |
| 3.ნანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 8-5 | 16 |
| 4.ლილი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-7 | 14 |
| 5.ნიცა | 8 | 4 | 1 | 3 | 12-12 | 13 |
| 6.ბორდო | 8 | 3 | 3 | 2 | 12-9 | 12 |
| 7.მარსელი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| 8.რეიმსი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-4 | 11 |
| 9.რენი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| 10.მონპელიე | 7 | 3 | 2 | 2 | 6-5 | 11 |
| 11.ლიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 14-8 | 9 |
| 12.მონაკო | 8 | 2 | 3 | 3 | 14-16 | 9 |
| 13.ტულუზა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-12 | 9 |
| 14.ნიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 15.ამიენი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 16.მეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-12 | 8 |
| 17.ბრესტი | 8 | 1 | 5 | 2 | 8-13 | 8 |
| 18.სტრასბური | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 19.დიჟონი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-10 | 5 |
| 20.სტ.ეტიენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-პარიზი ..................... 2:1

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ვენლო-ჰერენვენი ..................... 0:3
აიაქსი-გრონინგენი ..................... 2:0
სიტარდი-სპარტა ..................... 0:0

### პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი

მარიტიმუ-მორეირენშე ..................... 2:1
ბენფიკა-სეტუბალი ..................... 1:0
ფამილიკაო-ბელენენსეში ..................... 3:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

კრილია-ტამბოვი ..................... 2:0
როსტოვი-დინამო ..................... 3:0
ლოკომოტივი-ზენიტი ..................... 1:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.პოლენი-თუნი ..................... 4:0
იანგ ბოიზი-სიონი ..................... 3:2

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰიბერნიანი-სელტიკი ..................... 1:1
ჰამილტონი-ლივინგსტონი ..................... 2:1
კილმანროკი-როსი ..................... 0:0
რეინჯერსი-აბერდინი ..................... 5:0
სტ.ჯონსონი-მოზერველი ..................... 0:1
სტ.მირენი-ჰართსი ..................... 0:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ტიროლი ..................... 2:2
ზალცბურგი-აუსტრია ..................... 4:1
სტ.პოლენი-ლინცერი ..................... 0:3

### ბელგია. ა დივიზიონი

მეხელენი-ბრიუგე ..................... 0:5
გენტი-კორტრაიკი ..................... 2:0
მუსკრონი-ვარეგემი ..................... 2:2
სერკლი-ეუპენი ..................... 1:2
სტ.ტრუიდენი-გენკი ..................... 3:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-ლარისა ..................... 2:3
ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი ..................... 2:0
ოლიმპიაკოსი-ლამია ..................... 2:0

### თურქეთი. სუპერლიგა

დენიზლი-ქაშიმფაშა ..................... 0:1
ალანია-სივასი ..................... 1:1
გალათასარაი-ფენერბახჩე ..................... 0:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-იაბლონეცი ..................... 0:1
სიგმა-სლოვაცკო ..................... 2:2
სლავია-ბოლესლავი ..................... 1:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-პლოცკი ..................... 1:2
ლეგია-ლეხია ..................... 1:2
გურნიკი-ლეხი ..................... 1:3
კარპატი-კოლოსი ..................... 1:2
ოლექსანდრია-ლვოვი ..................... 2:0

### დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-სილკებორგი ..................... 4:2

### ნორვეგია. ელიტსერია

რუსენბორგი-ბრანი ..................... 0:0

**რაგბი. მსოფლიო თასი**

საქართველო-ურუგვაი ..................... 33:7
უელსი-ავსტრალია ..................... 29:25

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



## პაატა გოროდინსკის

### მწარე მილოცვა დედისგან!

პაატა, პირველო და უკანასკნელო სიხარულო, ისევ უშენოდ მოვიდა 30 სექტემბერი. ეს ის დღეა, როდესაც მაჩუქე დედობა და ისევ წამართვი. ეს დღე ძალიან მტკივა, მტკივა შენი დაფერფლილი სიცოცხლე, მტკივა ის, რომ ცოცხალი ვარ და „დედის“ აღარ მეძახი, აღარ მიყურებ ლამაზი თვალებით. მიუხედავად ამ ტკივილისა, ისევ დედა გილოცავს დაბადების დღეს. წლოვანებას არ ვწერ, იმიტომ, რომ შენ ჩემთვის დარჩი 34 წლის, რომელმაც დამიტოვე სიყვარული და დედაშვილობა.

20 წელი გავიდა, მე კი ვიტანჯავ თავს, მაგრამ შენ არაფერი გეშველა, ვერ შევძელი იმის გაკეთება, როგორც ზოგიერთმა დედამ — აიყვანეს თავი ხელში.

ვერ გეტყვი, რომ არ ვარსებობ, მაგრამ ჩემი ცხოვრება დაასრულე ავჭალის გზატკეცილიდან 99 წლის 28 ივნისს გამოგზავნილი მეხით. მას შემდეგ ჩემს ცხოვრებას ჰქვია სულის ტანჯვა, გულის გაქვავება, ფიქრები, ჯანმრთელობა ნულის ტოლი, მხოლოდ ამ 20 წლის მანძილზე 2-2 დღისთვის ვცოცხლობ. თქვენ როგორ ფიქრობთ, მე აქ დამტოვეთ და ბედნიერი ცხოვრება მაქვს?! არა, თავდაყირაა ჩემი სიცოცხლე, მაგრამ, როცა ძალიან მიჭირს, მეხმარებით და მითითებთ.

ცხოვრება შემეცვალა, მაგრამ ჯერჯერობით მიჭირს, ამაზე ჩამოვყალიბდე... არასდროს მიფიქრია, თუ ცხოვრებაში ასეთი რამე შემემთხვეოდა ან თუ შენი წასვლის შემდეგ ჩემთვის რამე იქნებოდა მტკივნეული, მაგრამ ძალიან მტკივა, ახლა აზრზე ვარ და იმიტომ ვგრძნობ... ასეა, შვილო, დედები შვილებზე არასდროს ბრაზობენ და ყველაფერს პატიობენ. ეს ეკუთვნის გარდაცვლილსაც და ცოცხალსაც... „თუ შეიძლება, ეპატიოს“...

გთხოვთ, მომაცილეთ ეს ფიქრები, მარტოობამ დამღალა, ახლა კი მარტოობა მინდა ჩემს ფიქრებთან. 80 წელს მიტანებული დედა აცოცხლებს შენს საფლავს. ჯერ არ მოჰკლებია შენს სამოსახლოს არც შენი ძმაკაცები, ნათესავები და, რაც მთავარია, დედის მეგობრები და თანამშრომლები. შეიძლება, ყველას ვაწუხებ, მაგრამ ამაზე უარს ვერ ვიტყვი. ვთხოვ ყველას, არ გამიბრაზდეთ, გამიგეთ. თქვენ მაძლევთ ძალას, რომ ეს გავაკეთო და შვილი გავაცოცხლო, სანამ შევძლებ. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად წაშლილი ვარ, მაგრამ, ამასთანავე, ბედნიერი, ამ უახლოესი ხალხის შემხედვარე „აქ“, რომლის დროსაც თავი ფიქრებისგან თავისუფალია.

დედიკო, შენთან ლაპარაკს მე ვერასდროს შევწყვეტ, მაგრამ ახლა ჩემს საუკეთესო მეგობარსა და დას დავუთმობ შენთან საუბარს.

მე კი გემშვიდობები სანთლით, რომელიც მუდამ გინათებდეს გზას.

*შენი უძლური დედა — ღუღუნი ჯუღელი*

## უკანასკნელი საჩუქარი პაატას ციცია დეიდასაგან

ჩვენო პაატა, 20 წელი გავიდა, მაგრამ შენ არ დავიწყებიხარ არავის. გამოსათხოვარი ლექსი მაშინვე დაგიწერე, მაგრამ აქამდე ვერ შევძელი ამის გამოქვეყნება... სინანულის გამო. ეს ერთი კარგი მოგონება იქნება შენი ჩვენგან. გვენანები ძალიან...

შენი ლამაზი სიცოცხლე,
აღსავსე პატიოსნებით,
ეს რა უეცრად შეწყვიტე
უდროოდ გემშვიდობებით.

მოულოდნელად დაგვცილდი,
ყველას დაგვწყვიტე გულები,
იქნებ სადმე ხარ წასული,
ნუთუ არ დაგვიბრუნდები?!

ალბათ სიზმარი გეგონა,
რაც მოხდა, რაც განიცადე,
ვერ გიხილავენ ვერასდროს
შენ თბილისელი ბიჭები!

ცივ სამარეში ეშვები,
ველარ იხილავ ქვეყანას,
ჰოდა, თბილისის ქუჩებში
ვერ გააქროლებ მანქანას.

ვწუხვარ, სამშობლოს დააკლდა
ერთი ვაჟკაცი ქართველი,
ლამაზი გქონდა სიცოცხლე,
იქაც დაგადგეს ნათელი.

*დედის თანამშრომელი*

დგებუაძეების საგვარეულო კავშირი სამძიმარს უცხადებს ტარიელ და პაატა დგებუაძეებს სიძის

**ოთარ სანიკიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9552 |
| ევრო | — 3.2286 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.6319 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5891 |

## ამინდის პროგნოზი 30 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

### რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ოთხტომეული
ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## გიორგი უშიკიშვილმა მთავარ არხზე დაიწყო მუშაობა



მომღერალმა და ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა ნიკა გვარამიას „მთავარ არხზე“ დაიწყო მუშაობა.

ინფორმაცია ამის შესახებ გიორგიმ ინტერნეტში თავად გაავრცელა. მომღერალს ახალი სამსახურის დაწყება უახლოესმა მეგობრებმა და გულშემატკივრებმა მიულოცეს და ბევრი წარმატება უსურვეს.

## „ჩემი ცოლის დაქალები“ მე-16 სეზონს იწყებს



ფორმულა კრეატივის“ გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალ, მე-16 სეზონს სიახლეებით იწყებს.

სერიალი სულ მალე ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში გავა. შემოქმედებითმა ჯგუფმა ინტერნეტში პირველი ვიდეორგოლი და ფოტო უკვე გაავრცელა:

— მალე!

დაელოდეთ „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ, მე-16 სეზონს, ტრადიციულად, ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას — ახლა უკვე ფორმულაზე!

ტელეკომპანია ფორმულა მაუწყებლობას დაიწყებს 1-ლი ოქტომბრიდან, მანამდე კი მოიწონეთ ოფიციალური გვერდი და გაიგეთ ყველა სიახლე პირველებმა.

## ნათია თოდუამ საქართველოს სიმღერა მიუძღვნა



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულმა ნათია თოდუამ საქართველოს სიმღერა მიუძღვნა.

„ჯორჯია“ — ასე ეწოდება ინგლისურენოვან სიმღერას, რომელიც მომღერალმა თავისი ალბომისთვის „მის იუ“ — „მენატრები“ ჩაწერა. ნათიამ სიმღერაზე ვიდეორგოლიც გადაიღო და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული ემიგრანტებიც ჩართო:

— „ჯორჯია“ არის პირველი სიმღერა ჩემი ალბომიდან „მის იუ“.

ულრმესი მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა ამის შექმნაში.

ჩვენ ყველას გვაქვს სამშობლო და თითოეულმა წვლილი უნდა შევიტანოთ მისი მომავლისთვის. ეს არის ადგილი, რომელმაც ჩვენ გაგვზარდა და ერთმანეთს დაგვაკავშირა. მოდით, ყველამ ერთად შევძლოთ მისი გაუმჯობესება, რათა ჩვენს მომავალ თაობას უკეთესი და უფრო ლამაზი სამშობლო ჩავაბაროთ. მადლობა თითოეულს, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ!

## ასტროპროგნოზი

### 30 სექტემბრისთვის



**ვერძი** — დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებაშიც და პროფესიონალურ სფეროშიც გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კურო** — კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით — ბიზნესმენებისთვის. გელით მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. **ტყუპები** — ვარსკვლავები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ, თუმცა სიყვარულში, შესაძლოა, მარცხი განიცადოთ. **კირჩხიბი** — ქარაფშუტობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ხელს გიშლით ჩანაფიქრის რეალიზებაში. იყავით მობილიზებული და პრინციპული. **ლომი** — ახალგაცნობილ ადამიანს არ ენდოთ. სამსახურში პრობლემები შეგხვდებათ. **ქალწული** — ნუ იაქტიურებთ. საქმიან პარტნიორებთან მცირე გაუგებრობა და უსარგებლო საუბრებია მოსალოდნელი. **სასწორი** — მძიმე და სახიფათო დღეა. შეძლებისდაგვარად თავი შეიკავეთ ყოველგვარი კონტაქტისაგან. ახლობელ ადამიანთან შესაძლოა ურთიერთობა გაგიფუჭდეთ. **მორიელი** — კეთილისმყოფელი დღეა. სამსახურში პრობლემები თანდათან გვარდება. სასიამოვნო ახალი ამბავი სიცოცხლის სიხარულით აღგავსებთ. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, რაც დადებითად აისახება როგორც თქვენს პირად ცხოვრებაზე, ისე საქმიან ურთიერთობებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** — დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებასა და პროფესიონალურ სფეროში გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **მერწყული** — კარგი დღეა ურთიერთობების გასაფართოებლად, ახალი ნაცნობების შესაძენად, რაშიც თქვენი კომუნიკაბელურობა ძალიან დაგეხმარებათ. **თევზები** — საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. აქცენტი მთავარზე გააკეთეთ და ენერგიას წვრილმანებზე ნუ დახარჯავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ორი პოლიციელი შეიარაღებული დამნაშავის ასაყვანად მიდის. ერთი მეორეს ეუბნება:

— შენ პირველი შეხვალ, მე კი შენ გამო შურს ვიძიებ.

სამხედრო კომისარიატში წვევამდელი კომისარს ეუბნება:

— საზღვაო ფლოტში მინდა ვიმსახურო.

— ცურვა იცი?

— რა, გემები აღარ დაგრჩათ?

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— როდესაც დილით მაღვიძარას ხმა მესმის, ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ მესროლეს.

— და რა? მაშინვე ფეხზე წამოხტები?

— არა, მკვდარივით ვგდივარ.

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— შეხედეთ, ამ ბოლო დროს ჩვენთან რამდენი პრესმდივანი გამოჩნდა. პრაქტიკულად, ყველა ორგანიზაციას ჰყავს და, ჩემი აზრით, შესამცირებელია.

— რას ამბობთ! და თუ ხელმძღვანელმა ან დირექტორმა არც წერა-კითხვა იცის და არც ლაპარაკი ეხერხებათ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნინო მიქიაშვილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელმყოფელების დასჯას ითხოვს

ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი მოითხოვს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელყოფა ადამიანის მკვლელობასა და დაჭრას გაუთანაბრდეს:



— ადამიანის მკვლელობას, დაჭრას უნდა გაუთანაბრდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელყოფა, განადგურება, რადგან ჩვენი თვითშეგნების დონე დაბალია და ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გარეშე არარაობად გადავიქცევით.

## გოგა ბითაძე: „ფაჩულია ცოდნას მიზიარებს“



საქართველოს ნაკრებისა და ინდიანა პეისერსის ცენტრი გოგა ბითაძე ნბა-ში დებიუტისთვის ემზადება. გოგა გუნდთან ერთად იმყოფება და წინასასეზონო მოსამზადებელ პერიოდს გადის.

ბითაძემ ამერიკულ მედიასთან საუბრისას ლიგაში სადებიუტო სეზონსა და ზაზა ფაჩულიასთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

**გოგა ბითაძე:**

— საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველას ძალიან უხარია ჩემი წარმატება, ეს დიდ მოტივაციას მაძლევს, რომ გამოვიდე და გავაკეთო მაქსიმუმი, რაც შემიძლია. ზაზამ კარიერა დაასრულა და მე ვიქნები ერთადერთი, ვინც ნბა-ში საქართველოს წარადგენს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ჩემთვის. ზაზა იყო კერპი ყველასთვის და მათ შორის ჩემთვის. მის კარიერას ვადევნებდი თვალს და ასე გავიზარდე. ახლა ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. ის ცოდნას მიზიარებს და ბევრს მეხმარება.

თანაგუნდელები გავიცანი. ისინი კარგი ბიჭები არიან. გასახდელში შესანიშნავი ატმოსფერო სუფევს და გუნდში კარგი ქიმია გვაქვს. თანაგუნდელების უკეთ გაცნობა აუცილებელია. საჭიროა ვიცოდე, ისინი პარკეტზე როგორ მოქმედებენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## მოხუცის სამზარეულოში დაკარგული შედევრი აღმოაჩინეს



საფრანგეთის ქალაქ კომპიენში მოხუცებული ქალის სამზარეულოში XIII საუკუნის ცნობილი მხატვრის შედევრი აღმოაჩინეს, რომელიც მილიონობით ევროდ ფასობს.

სურათს, რომელიც სამზარეულოში ქურის თავზე ეკიდა, ყურადღება დამწყებმა აუქციონისტმა ფილომენ ვოლფმა მიაქცია, რომელიც იქ მოხუცებულის ნათესავებმა მიიწვიეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ის ძველი ხატი იყო და მისი შეფასება სურდათ.

ვოლფი მიხვდა, რომ საქმე ფლორენციელი მხატვრის, პროტორენესანსის ეპოქის ერთ-ერთი უმთავრესი ოსტატის, ფერმწერ ჩიმაბუეს ნამუშევართან ჰქონდა. მისი ეს ვარაუდი ცნობილმა ფრანგმა ხელოვნებათმცოდნე ერიკ ტიურკინმა გაიზიარა.

— ძალიან გამიმართლა, — ამბობს ვოლფი, — ჩემი კარიერის დასაწყისშივე ასეთი აღმოჩენა რომ გავაკეთე. უმთავრესად ასეთ რამეს მთელი ცხოვრება ელიან.

კომპიენში აღმოჩენილი ხის დაფაზე დახატული სურათი 27 ოქტომბერს აუქციონზე გასაყიდად იქნება გამოტანილი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის ექვს მილიონ ევროდ გაიყიდება.

## ნიანგის თავდასხმისგან ბავშვების გადარჩენას ხელი ბეჰემოთებმა შეუშალეს

კენიაში ნიანგმა ორი ბავშვი, მეორე და მეხუთე კლასის მოსწავლე მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



რეპტილია ბიჭებს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ისინი მდინარის მახლობლად საქონელს მწყემსავდნენ. ადგილობრივების მიერ ბავშვების მოძებნისა და გადარჩენის მცდელობას წინ აგრესიული ბეჰემოთები აღუდგნენ, რომლებიც ადამიანებს თავს ესხმოდნენ.

ძმების სხეულების ნარჩენების მიგნება მხოლოდ მეორე დღის დილით მოხერხდა. ამ დროის განმავლობაში მდინარის დინებამ ბავშვების ცხედრები თავდასხმის ადგილიდან ორ კილომეტრში გამორიყა. ერთ-ერთსა ნიანგის მიერ მოგლეჯილი სხეულის ზოგიერთი ნაწილი აკლდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ეკა კვალიაშვილის საქველმოქმედო კონცერტზე მისი ჯანმრთელობისთვის საჭირო თანხა არ შეგროვდა



მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო საღამო ჩაატარა, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები გადაეჭრა:

— აბსოლუტურ სიმართლეს მოგითხრობთ. ამას იმიტომ არ ვწერ, რომ რაღაც ემოციები გამოვიწვიო თქვენში.

მე, როგორც უამრავმა თქვენგანმა, გამოვიარე ოთხმოცდაათიანები.... და საოცრება, იმ ავბედით დროს, როდესაც არ იყო დენი, გაზი და ასე შემდეგ.... იყო სიმღერა, შოუბიზნესი, უჭირდა საქართველოს და სიმღერა, ხაზს ვუსვამ, ნამდვილი და არა ტაშიტუში. სიმღერა უნდოდა ყველას. ყველას. იყო დაფასება და სიყვარული, იყო თანადგომა, ერთმანეთს მხარს უმაგრებდა გაჭირვებული ერი, თბილისი.... მე მახსოვს გასტროლები, ბაბინებიანი მაგნიტოფონით დატრიალებული მინუს ფონოგრამები და პატარა პლასტმასის მიკროფონში ცოცხალი შესრულებით ჩატარებული კონცერტები რეგიონებში, მაგრამ, როგორც წესი, სიყვარული ახლდა ამ ყველაფერს და იყო საოცარი, ლამაზი ენერგიის გაცვლა ერთმანეთში... დღეს დროებითი ტენდენციაა საქართველოში და ეს დროებითი გაგრძელდა ძალიან დიდხანს... აითქვიფა ერთმანეთში ჩრდილოვანი და პროფესიონალური კულტურა, დონე და მდაბიოობა და ეს მდაბიოობა დღეს გაფურჩქნილია და კმაყოფილი... ჩრდილოვან კულტურაში უამრავი ნიჭიერი და დონე მომღერალი და მუსიკოსია, მაგრამ თავისთვის ჩუმად მუშაობენ.. სამაგიეროდ... მახსენდება შექსპირის 66-ე სონეტი და ვხვდები, რომ კაცობრიობა მხოლოდ ტექნოლოგიურად იზრდება და ვითარდება, სული კი, სამწუხაროდ...

მე დღეს, სამწუხაროდ, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომ დამჭირდა გვერდზე დგომა, რადგან უკვე ველარც ერთი გზა ველარ ვიპოვე. არის მომენტი, როდესაც ხდება ასე. გუშინ ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი იმისთვის, რომ აღარ ჩამოვთვლი ჯანმრთელობის თემებს, ეს ერთჯერადად მაინც მომეგვარებინა. სამწუხაროდ, არ მქონდა პიარი, რადგან ტელევიზიებსაც ვერ მივაწვდინე ხმა. გუშინდელი კონცერტი რისთვისაც ჩატარდა, მხოლოდ სცენის მონატრების დაკმაყოფილება იყო...

მთავარი პრობლემა დარჩა და ამიტომ არ გაგიკვირდეთ, რომ შეგხვდეთ ჩემი ანგარიშის ნომერი. ეს ქველმოქმედება 1 თვე იქნება, იმედია, შევძლებ თქვენთან ერთად, თუ არადა, სცენა ხომ მაინც მოვისიყვარულე....

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 6. სპილენძის სასულე საკრავი; 8. მთა აფრიკაში; 10. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი; 11. სუსტი არაყი; 12. ციტრუსი; 14. მზის სისტემის პლანეტა; 17. საფოსტო ნიშანი; 19. ძველებური საბრძოლო იარაღი; 20. პოლონური წარმოშობის საბალო ცეკვა; 21. იგივეა, რაც თალი; 22. განის ხერხი; 23. მაღაზია.

**შვეულად:** 1. მსახიობი; 2. ჩრდილოამერიკელი ინდიელების ფეხსაცმელი; 3. შავიზღვისპირა დასახლება ზუგდიდის რაიონში; 5. თავისუფალი გლეხები XIV-XVIII სს. ინგლისში; 7. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 9. ძველებური ესპანურ-იტალიური ცეკვა; 13. სარტყმელი საკრავი; 15. ძვირფასი ქვა; 16. ყველასთვის სავალდებულო წესი; 18. ხორციანი კორკოტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

